

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამტკიცებულია კომისიის
2010 წლის 11 მარტის
№.4/1 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2009 წელი

ქუთაისი
მარტი 2010 წელი

სარჩევი

	შესავალი	83-3
I	კომისიის შესახებ	5
	კომისიის წევრები	5
	კომისიის აპარატი	5
	ბიუჯეტი	5
II	ძირითადი ფუნქციების განხორციელება	8
	ტარიფების დადგენა და რეგულირება	8
	ლიცენზირება	8
	სამართლებრივი საქმიანობა	15
	მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა	20
	სერტიფიკაცია	22
	საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	24
III	რეგულირების დარგების მდგომარეობა	28
	ელექტროენერგეტიკა	31
	ბუნებრივი გაზის სექტორი	48
	წყალმომარაგების სისტემა	52
	დანართები №1-20	57
	დანართი №21 მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიში	85

შესავალი

ამ ანგარიშში დაწვრილებითაა მოცემული 2009 წელს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობა და ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების რეგულირების განვითარების ერთწლიანი მონაკვეთი. ანგარიში შედგება 3 ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოკლედაა გადმოცემული ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) შესახებ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით; მეორე – ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს კომისიის ფუნქციების განხორციელებას; ხოლო მესამე ნაწილში შეფასებულია კომისიის რეგულირების სფეროში არსებული სამივე დარგის (ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი გაზის სექტორი, წყალმომარაგება) განვითარებაში არსებული მდგომარეობა. ანგარიშს თან ერთვის სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების განვითარების შესახებ.

მიუხედავად სხვადასხვა სიძნელეებისა, ბევრ მნიშვნელოვან საკითხში 2009 წელი კომისიისათვის წარმატებული იყო. ეს, საბოლოო ანგარიშში, ქვეყნის ელექტრო და გაზმომარაგების ძირეულ, აგრეთვე, გარკვეულწილად, წყალმომარაგების გაუმჯობესებაში გამოვლინდა. ამაში, ცხადია, მნიშვნელოვანია დარგის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების საკვანძო საკითხებზე მიიღო 102 სამართლებრივი აქტი, აქედან – 24 დადგენილება და 78 გადაწყვეტილება. მათი უმრავლესობა ეხება როგორც ლიცენზირებას, ასევე ტარიფების დადგენასა და რეგულირებას. მიღებულ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები. მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობა დადებითად აისახა ქვეყნის ენერგო და წყალმომარაგებაზე.

კვლავ უდღეფიცითოდ მუშაობს ელექტროენერგეტიკა. 2009 წელს მოხმარებასთან შედარებით წარმოებულ იქნა 638 მლნ კვტ.სთ-ით, ანუ 8,3%-ით მეტი ელექტროენერგია, ხოლო ენერჯის ექსპორტმა იმპორტს თითქმის 3-ჯერ გადააჭარბა. გასულ წელთან შედარებით შემცირდა ელექტროენერჯის დანაკარგები 30,3 მლნ კვტ.სთ-ით. გაუმჯობესდა ჰიდროელექტროსადგურების გამოყენება; კერძოდ, 2009 წელს ჰესებში გამოიშვავებულ იქნა 261 მლნ კვტ.სთ-ით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 2008 წელს. რაც შეეხება თბოელექტროსადგურებს, აქ 2009 წელს წარმოებულ იქნა 963,5 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 21,4%-ით, ანუ 262 მლნ კვტ.სთ-ით ნაკლებია 2008 წლის მაჩვენებელზე, ამან კი გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობის ეკონომია უზრუნველყო.

უკვე შეიძლება ითქვას, რომ კომისია მყარად დამკვიდრდა ქუთაისში. 2009 წლის თებერვლიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია კეთილმოწყობილ შენობაში (ჩიჩქელაშვილის ქ. №26) ფუნქციონირებს. ამასთან, კომისიის აპარატის ნახევარზე მეტი ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. საანგარიშო წლის განმავლობაში დაიხვეწა და უფრო თანამედროვე გახდა კომისიის აპარატის სტრუქტურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ, უფრო ვრცლად, საუბარია ქვემოთ.

I. კომისიის შესახებ

კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია 5 წევრისაგან შედგება. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 30 აგვისტოს №454 და №455 განკარგულებებით, კომისიის წევრად და თავმჯდომარედ 6 წლის ვადით დაინიშნა გურამ ჩალაგაშვილი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 აგვისტოს №662 განკარგულებით, კომისიის წევრ ირმა ქავთარაძეს უფლებამოსილება 6 წლის ვადით გაუგრძელდა, ხოლო კომისიის წევრებად 6 წლის ვადით დაინიშნენ: 2007 წლის 21 სექტემბრის №517 განკარგულებით – ზურაბ გაბელაია, 2008 წლის 20 ოქტომბრის №673 განკარგულებით – მაია ნადირაძე და 2009 წლის 5 ოქტომბრის №676 განკარგულებით – ვასილ როინიშვილი.

კომისიის აპარატი

2010 წლის 1 იანვრისათვის კომისიის აპარატი შედგება 106 თანამშრომლისაგან. კომისიის დებულების შესაბამისად, კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები (იხ. დანართი 1):

ა. 10 დეპარტამენტი – იურიდიული, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგეტიკის, წყალმომარაგების, ტარიფებისა და ფასწარმოქმნის, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საქმისწარმოებისა და საკადრო საქმეთა, საფინანსო-საბიუჯეტო, სერტიფიკაციის;

ბ. 1 დამოუკიდებელი სამმართველო – კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის;

გ. კომისიის თავმჯდომარისა და წევრების აპარატი.

კომისიის აპარატი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებითა და იურისტებით.

კომისიასთან არსებობს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც 2007 წლის 19 ნოემბრიდან 2009 წლის 20 ნოემბრამდე იყო მალხაზ ძიძიკაშვილი.

2009 წელს კომისიაში გაიმართა 27 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 24 დადგენილება და 78 გადაწყვეტილება (იხ. დანართი 2, 3).

ბიუჯეტი

კომისიის 2008 წლის 24 სექტემბრის №10/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2009 წლის საპროგნოზო ბიუჯეტით კომისიამ შემოსავალი განსაზღვრა 6150000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 5684770 ლარით.

2009 წლის მანძილზე კომისიის ბიუჯეტმა გარკვეული სტრუქტურული ცვლილება განიცადა, შესაბამისად, დამტკიცდა 2009 წლის კორექტირებული ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილი გაიზარდა 2206775 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 2672005 ლარით.

II. ძირითადი ფუნქციების განხორციელება

ტარიფების დადგენა და რეგულირება

2009 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში ტარიფების რეგულირების კუთხით სამუშაოები ძირითადად მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: ტარიფების დადგენა კონკრეტული ლიცენზიატებისათვის; დარგში მიმდინარე ანალიტიკური სამუშაოების შემდგომი გაღრმავება; ტარიფების რეგულირების მეთოდოლოგიური ასპექტების სრულყოფა.

საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში სატარიფო საკითხებზე მიღებულ იქნა 10 დადგენილება, მათ შორის, ელექტროენერგეტიკაში – 6, ბუნებრივი გაზის სექტორში – 4.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები ენერგეტიკულ სექტორსა და წყალმომარაგების სისტემაში მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების, ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატების, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა და წყალმომარაგების სისტემის წლიური და კვარტალური ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ.

ა) ელექტროენერგეტიკის სექტორი

კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში მიღებული დადგენილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენას. კერძოდ, 2009 წლის განმავლობაში განხილულ იქნა შვიდი სატარიფო განაცხადი, რომელიც ეხებოდა ელექტროენერჯის

წარმოების ლიცენზიატებისათვის ზღვრული ტარიფის დადგენას. აღნიშნული სატარიფო განაცხადები განხილულ და დამტკიცებულ იქნა იმ პროცედურების დაცვით, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა. აღნიშნული დადგენილებები ცვლილების სახით შევიდა “ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ” კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში, მათ შორის:

1. კომისიის 2009 წლის 10 დეკემბრის №22 დადგენილება ითვალისწინებს „სს „ენერჯი ინვესტისათვის“ წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) დადგენას:

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა სს „ენერჯი ინვესტის“ სატარიფო განაცხადი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფის დადგენის თაობაზე. სს „ენერჯი ინვესტმა“ სატარიფო განაცხადი წარმოადგინა 2009 წლის 12 ოქტომბერს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, მოითხოვა გრძელვადიანი ტარიფის დადგენა ოთხ კალენდარულ წელზე – 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. განაცხადის წარმოდგენის მიზეზი იყო მოქმედი ტარიფით მიღებული შემოსავლების არასაკმარისი მოცულობა, კომპანიის მიერ ვერ ხერხდებოდა არსებული დანახარჯების, კერძოდ, სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა ისეთი ტარიფები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოსათვის იმდენი შემოსავლის მიღებას, რათა დაიფაროს სესხის ძირითადი თანხა და სხვა გონივრული და დასაბუთებული ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ტარიფი 2010 წლისთვის მოქმედ ტარიფთან შედარებით გაიზარდა, 2010-2013 წლებზე საშუალო სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფი მცირდება მოქმედ საშუალო ტარიფთან შედარებით;

2. კომისიის 2009 წლის 12 ნოემბრის №19 დადგენილება ეხება შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციისთვის“ წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფის დადგენას:

2009 წლის 10 სექტემბერს შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციამ“ კომისიაში წარმოადგინა სატარიფო განაცხადი და მოითხოვა მოქმედი წარმოების ტარიფის გაზრდა 11.44 თ/კვტს-მდე. კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა 2006-2008 წლებისა და 2009 წლის იანვარ-სექტემბრის ფაქტობრივი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და 2010 წლის საპროგნოზო პარამეტრები. კომისიამ მოახდინა აღნიშნული შემოსავლის გაკორექტირება და გაითვალისწინა მხოლოდ ის ხარჯები და აქტივების

ღირებულება, რომელებიც გონივრული და სამართლიანია. მხედველობაში არ იქნა მიღებული დაგროვილი პროცენტების ასახვა ძირითად საკრედიტო მოცულობაში, ვინაიდან არასამართლიანია ტარიფში ერთხელ უკვე ასახული სესხის პროცენტის ხელახლა გათვალისწინება. ხაღორის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების განხილვისას კომისიამ საბაზისო მაჩვენებლად აიღო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ელექტროენერჯის ბალანსით განსაზღვრული მაჩვენებლები 2009-2010 საბალანსო წლისათვის. აღნიშნული პარამეტრებით შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციისთვის“ დადგენილმა ტარიფმა შეადგინა 8.75 თეთრი/კვტსთ დღგ-ს გარეშე, ნაცვლად მოთხოვნილი 11.44 თეთრი/კვტსთ-ისა;

3. კომისიის 2009 წლის 8 ოქტომბრის №16 დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა შპს „ზაჰესის“ წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი:

სს „ზაჰესმა“ 2009 წლის 4 მაისს კომისიაში შემოიტანა სატარიფო განაცხადი, რომლითაც ის ითხოვდა 3.71 თეთრი/კვტსთ წარმოების ტარიფის დადგენას, ნაცვლად 1.42 თეთრი/კვტსთ-ისა. სატარიფო განაცხადის განხილვის შედეგად კომისიამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად სს „ზაჰესის“ მოქმედი ტარიფის გაზრდა, რადგანაც დადგენილი ტარიფით მას გააჩნდა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საკმარისი ფინანსური შემოსავლების რესურსი;

4. კომისიის 2009 წლის 6 აგვისტოს №13 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მფლობელობაში არსებული ჰესების ტარიფები:

2007 წლის 5 თებერვლის „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების“ საფუძველზე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გახდა სს „რიონჰესის“, სს „ძეგრულჰესის“, სს „ლაჯანურჰესის“, სს „გუმათჰესების კასკადის“, სს „შაორჰესისა“ და შპს „აწჰესის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების მესაკუთრე, ხოლო 2007 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე – შპს „საცხენჰესის“ 100% წილის მესაკუთრე, რომლის აქტივებიც 2007 წლის 25 ოქტომბრიდან აღებული აქვს იჯარის ხელშეკრულებით. შესაბამისად, გაუქმებულ იქნა ზემოთ ჩამოთვლილ ჰესებზე წარმოების ლიცენზიები, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ გაიცა წარმოების უვადო ლიცენზია. 2009 წლის 2 ივნისს კომისიაში შემოვიდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნა 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ

ჩამონათვალში ზემოაღნიშნულ ჰესებზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დამატების თაობაზე, რაც კომისიამ დააკმაყოფილა;

5. კომისიის 2009 წლის 1 აპრილის №4 დადგენილება, რომლის თანახმადაც დადგინდა სს „ხრამჭესი I“-ისა და სს „ხრამჭესი II“-ის წარმოების ზღვრული ტარიფები:

სს „ხრამჭესი I“-სა და სს „ხრამჭესი II“-ს დაუდგინდა ახალი წარმოების ზღვრული ტარიფები და მათი მოქმედება განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვრამდე. კომისიამ განიხილა სს „ხრამჭესი I“-ისა და „ხრამჭესი II“-ის 2009 წლის 10 მარტის სატარიფო განაცხადები ელექტროენერჯის წარმოების გრძელვადიანი (ხუთწლიანი) ტარიფების დადგენის თაობაზე. აღნიშნული კომპანიებისათვის ტარიფის დადგენის საკითხი მოცემულია 1999 წლის 22 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფოსა და „ეი-ი-ეს ჯორჯია ჰოლდინგ ბი.ვი“-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში „სს „ხრამჭესი I“-ისა და „ხრამჭესი II“-ის აქციათა მართვის უფლების შესახებ“.

„ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 1998 წლის №3 დადგენილებაში შეტანილ იქნა დამატება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ წარმოების ლიცენზიატის მიერ ორი ან მეტი ელექტროსადგურის ფლობის შემთხვევაში წარმოების ზღვრული ტარიფის დადგენა შესაძლებელია თითოეული ელექტროსადგურისათვის ცალ-ცალკე.

ბ) ბუნებრივი გაზის სექტორი


2009 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის სექტორში მიწოდების ტარიფების ღონე საყოფაცხოვრებო (მოსახლეობა) მომხმარებლებისთვის კვლავ უცვლელი დარჩა, რაც განპირობებულ იქნა მიმწოდებლების მიერ ბუნებრივი გაზის მიღების სხვადასხვა წყაროებისა და, შესაბამისად, განსხვავებული ფასების საფუძველზე, 2007 წელს დამტკიცებული მიწოდების ტარიფების შენარჩუნებით.

არასაყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები დერეგულირებულია „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების

საფუძველზე. მოსახლეობისთვის მიწოდების ტარიფების სტაბილურობიდან გამომდინარე, შესაბამისად, 2009 წლის განმავლობაში ძირითადად უცვლელი დარჩა გაზგამანაწილებელი კომპანიების საყოფაცხოვრებო (მოსახლეობის) მომხმარებლებისთვის მოხმარების ტარიფებიც, მათ შორის თბილისის მომხმარებლებისთვის, რომლის სტრუქტურაც მოცემულია ქვემოთყვანილ გრაფიკზე.

შპს “გაზტრანსგაზ–თბილისი”
თეთრი/მ³ დღე-ის გარეშე

სამომხმარებლო ტარიფი	42.898	100%
მათ შორის		
იმპორტირებული გაზის საფასური	28.39	66,18%
მიწოდება	0.185	0.43%
ტრანსპორტირება	1.383	3,23%
განაწილება	12.94	30,16%



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სამომხმარებლო ტარიფის საშუალო დონე კვლავ მნიშვნელოვნად დაბალია აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედ ტარიფებთან შედარებით, თუ არ ჩავთვლით იმ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ბუნებრივი გაზის რესურსები (იხ. დანართი 4).

ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფების დონე სხვადასხვა გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და მერყეობს 28,575 თეთრიდან 32,617 თეთრამდე ერთ კუბ.მეტრზე დღე-ის გარეშე.

განაწილების ტარიფების (დღგ-ის გარეშე) ოდენობა სხვადასხვა კომპანიებისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

– მაღალ წნევაზე – 0,0037 თეთრიდან 3,305 თეთრამდე ფარგლებში ერთ კუბ. მეტრზე;

– საშუალო წნევაზე – 1,67 თეთრიდან 10,4 თეთრამდე ფარგლებში ერთ კუბ. მეტრზე;

– დაბალ წნევაზე – 4,619 თეთრიდან 16,025 თეთრამდე ფარგლებში ერთ კუბ. მეტრზე.

შესაბამისად, განსხვავებული სამომხმარებლო ტარიფები საყოფაცხოვრებო (მოსახლეობა) მომხმარებლებისათვის და მისი მინიმალური ღონე შეადგენს დღგ-ის გარეშე 38,136 თეთრს ერთ კუბ. მეტრზე სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონის მოსახლეობისათვის, ხოლო მაქსიმალური – 46,644 თეთრს ერთ კუბ. მეტრზე კასპის რაიონის მოსახლეობისათვის.

მიუხედავად ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფების სტაბილურობისა, 2009 წლის განმავლობაში ზოგიერთი გაზგამანაწილებელი ლიცენზიატისგან განაწილებისა და მოხმარების ტარიფების ცვლილების მოთხოვნით კომისიაში შემოტანილ იქნა 6 სატარიფო განაცხადი, ხოლო ახალი ლიცენზიატებისთვის ტარიფის დადგენის მოთხოვნით – 5 სატარიფო განაცხადი. საანგარიშო წელს ბუნებრივი გაზის ტარიფების რეგულირების სფეროში სულ მიღებულ იქნა 4 დადგენილება. ამჟამად, გაზის ლიცენზიატი კომპანიებიდან განაწილების ფიქსირებული და მოხმარების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფები 20 კომპანიისათვის დადგენილია დიფერენცირებულად (წნევების მიხედვით), ხოლო დანარჩენს ჰყავს მხოლოდ დაბალი წნევით მომხმარებელი

ტარიფების ცვლილების მოთხოვნით განაცხადები წარმოდგენილ იქნა სს „საგარეჯოგაზის“, შპს „ქართლიგაზის“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, შპს „ნინიკას“, შპს „განთიადის“, შპს „აჭარის ბუნებრივი აირისა“ და სს „საჩხერეგაზის“ მიერ. აღნიშნული განაცხადებიდან კომისიამ დააკმაყოფილა სს „საგარეჯოგაზისა“ და შპს „ქართლიგაზის“ მოთხოვნა, ხოლო შპს „ნინიკას“, შპს „განთიადის“, შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ და სს „საჩხერეგაზის“ განაცხადები კვლავ განხილვის პროცესშია. რაც შეეხება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სატარიფო განაცხადს, გასული ორი წლის ფაქტობრივი საქმიანობის ანალიზის პროცესში კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი ინფორმაციები, რაც მათი მხრიდან არ წარმოდგენილა. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

კომისიის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, კომისიის 2009 წლის 12 ივნისის №11 დადგენილებით ცვლილება იქნა შეტანილი „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში და სს „საგარეჯოგაზსა“ და სს „ქართლიგაზს“ შეეცვალათ ტარიფები. კერძოდ, სს „საგარეჯოგაზს“, რომელიც ადგილობრივი (თანმდევ) გაზის შესყიდვას ახორციელებდა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან“ 110,0 აშშ დოლარად/1000მ³-ს, 2009 წლის მაისიდან გაზს შეისყიდდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან“ 167 დოლარად ანუ გაუძვირდა 57 დოლარით. შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი განესაზღვრა 30,286 თეთრი/მ³-ით, განაწილების ტარიფი – 6,475 თეთრი/მ³-ით, მოხმარების ტარიფი კი – 38,144 თეთრი/მ³-ით დღგ-ის გარეშე. ასევე, შპს „ქართლიგაზს“ ყაზბეგის მომხმარებლებისთვის გაუძვირდა გაზის შესასყიდი ფასი 110 აშშ დოლარიდან 167 აშშ დოლარამდე. შესაბამისად, ყაზბეგის (სტეფანწმინდის) მოსახლეობისათვის მიწოდების (ზღვრული) ტარიფი განისაზღვრა 32,617 თეთრი/მ³-ით, განაწილების ტარიფი – 4,619 თეთრი/მ³-ით, ხოლო მოხმარების (ზღვრული) – 38,136 თეთრი/მ³-ით დღგ-ის გარეშე. ამავე დადგენილებით დაუდგინდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი ახალ ლიცენზიატს შპს „ლ-ნ“-ს და განესაზღვრა 15,398 თეთრის ოდენობით ერთ კუბ.მეტრზე დღგ-ის გარეშე.

2009 წლის განმავლობაში კომისიის მიერ გაცემულ იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიები შპს „ბორჩალოზე“, ასევე შპს „ვისოლის გაზის სადისტრიბუციო კომპანიაზე“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს „ყამარზე“, რომლებიც ჩაენაცვლნენ, შესაბამისად, სს „მარნეულიგაზს“, სს „თელავიგაზსა“ და შპს „თემქაპურს“. აღნიშნულ კომპანიებს, სატარიფო განაცხადების საფუძველზე, კომისიის 2009 წლის 7 მაისის №7 და № 8, 29 ოქტომბრის №18 დადგენილებებით დაუმტკიცდათ ბუნებრივი გაზის მიწოდების ზღვრული, განაწილების ფიქსირებული და მოხმარების ზღვრული ტარიფები.

გ) წყალმომარაგების სექტორი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომისიას დაეკისრა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირება, თუმცა წყალმომარაგების საწარმოებიდან ამ

საკითხზე სრულყოფილი განაცხადები ოფიციალურად არ შემოსულა. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში ტარიფთან დაკავშირებით კომისიაში მუშაობა მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემაში ნორმატიული დანაკარგისა და წყლის მიერთების საფასურის განსაზღვრის წესების დადგენის შესახებ შესაბამის სამართლებრივ და სხვა აქტების პროექტებზე.

ლიცენზირება

1. ელექტროენერგეტიკა

კომისიამ 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დაამტკიცა „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“ და „ლიცენზირების წესები“. პირველი მათგანი ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული არალიცენზირებადი საქმიანობის განმახორციელებელი ყველა პირისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს, ხოლო მეორე ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიის მფლობელი მეწარმე სუბიექტისათვის.

საქართველოში ელექტროენერგეტიკულ სექტორში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებენ შემდეგი ლიცენზიატები (იხ. დანართი 5):

- წარმოების – 13;
- განაწილების – 3;
- გადაცემის – 2;
- დისპეტჩერიზაციის – 1

კომისიის მიერ ლიცენზირებასთან დაკავშირებით მომზადდა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) შპს „ორთაჭალენერჯიზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „ორთაჭალაჰესი-2007“-ზე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ (გად. №1/1 27.01.2009წ.);

ბ) სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ (გად. № 11/2 09.07.2009წ.);

გ) შპს „ზაჰესი 06“-ზე გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაუქმებისა და სს „ზაჰესზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ (გად. № 11/3 09.07.2009წ.).

შპს „ენერგოსერვისი+“-ის მიერ კომისიაში შემოტანილი იყო ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის განაცხადი, რაზედაც გამოცხადდა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილების („ლიცენზირების წესები“) თანახმად, მაძიებლის მიერ კომისიაში არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია. სამი დღის ვადაში ლიცენზიის მაძიებელს წერილობით ეცნობა წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე და მიეცა ვადა. ლიცენზიის მაძიებელმა ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია და ლიცენზიის განაცხადი უკან გაიტანა.

კომისია ატარებს ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნული ძირითადად ემყარება კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესებსა“ და „ლიცენზირების წესებს“, აგრეთვე კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებს“, კომისიის 2009 წლის 1 აპრილის №3 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციასა“ და 2009 წლის 4 ივნისის №9 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციას“. საანგარიშო წელს განხორციელდა აგრეთვე ელექტროენერგეტიკის სექტორში საქმიანობის და სალიცენზიო პირობების დაცვის ანგარიშგების კვარტალური და წლიური ფორმების, აგრეთვე ელექტროენერჯით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალის ფორმების შემუშავება, რომლებიც დამტკიცდა კომისიის შემდეგი გადაწყვეტილებებით:

- №15/1 – „ელექტროენერჯით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალის ფორმების“ დამტკიცების შესახებ“;
- №15/8 – „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/9 – „ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/10 – „ელექტროენერჯის წარმოების (ჰიდროელექტროსადგური) ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;

- №15/11 – „ელექტროენერჯის წარმოების (თბოელექტროსადგური) ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/12 – „ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/13 – „ელექტროენერჯის ექსპორტიორის საქმიანობა-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/14 – „ელექტროენერჯის იმპორტიორის საქმიანობა-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/15 – „მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობა-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/16 – „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის საქმიანობა-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/17 – „ელექტროენერჯეტიკული სექტორის ლიცენზიატების, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის კვარტალური ანგარიშგების ფორმის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული ფორმები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ლიცენზიატებისა და ბაზრის სხვა სუბიექტების საქმიანობის, ასევე მათ მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების მდგომარეობის, უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დაცვის, ავარიებისა და უბედური შემთხვევების შესახებ.

ანგარიშგების წლიური ფორმების წარმოდგენა ბაზრის სუბიექტებს კომისიაში ევალუბათ შემდგომი წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე, ხოლო კვარტალური ანგარიშგების ფორმებისა – საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის ბოლომდე.

2. ბუნებრივი გაზი

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „ლიცენზირების წესების“ თანახმად, ბუნებრივი გაზის სექტორში კომისიის მიერ უვადოდ გაიცემა ლიცენზიები შემდეგ საქმიანობებზე:

- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება;
- ბუნებრივი გაზის განაწილება.

2009 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების 6 ლიცენზია (იხ. დანართი 6), წარმოდგენილი განაცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მიღებაზე უარი ეთქვა ერთ მეწარმეს (კომისიის გადაწყვეტილება №12/4, 16.07.2009წ.).

4 კომპანიის ლიცენზიაში შეტანილ იქნა ცვლილებები (იხ. დანართი 7).

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუნებრივი გაზის სფეროში მოქმედებს სულ 71 ლიცენზია, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების – 1 და ბუნებრივი გაზის განაწილების – 70 (იხ. დანართი 8).

კომისია სისტემატურად აწარმოებს ლიცენზიატებისაგან ინფორმაციის მიღებას მათ მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ. შემუშავდა წლიური ანგარიშგების ფორმები და კომისიის მიერ 2009 წლის 24 სექტემბერს საჯარო სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- №15/4 – „ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/5 – „ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“;
- №15/6 – „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“.

წარმოდგენილი წლიური ანგარიშგების ფორმების შესწავლის შემდეგ კომისიაში მომზადდება სათანადო დასკვნები. დაიწყო მუშაობა არსებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის რეგულირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით შემუშავდა და კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“.

ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული მდგომარეობისა და მომსახურების პირობების რეგულირების მიზნით შემუშავდა ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრის ფორმები და ასევე ოპერატიული მართვისა და მომსახურების ცენტრებში აღრიცხვის წარმოებისათვის ჟურნალების ფორმები, რომლებიც დამტკიცდა კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის №15/2 გადაწყვეტილებით „ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების“ დამტკიცების შესახებ“. ყოველკვარტალურად წლის განმავლობაში ნაზარდი ჯამით წარმოდგენილი რეესტრების შესწავლა-ანალიზის შემდეგ კომისიაში მომზადდება შესაბამისი დასკვნები.

სამართლებრივი საქმიანობა

კომისიის ეფექტური მუშაობა გულისხმობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასა და კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ნორმატიული აქტების მიღებას. კომისია სისტემატურად ცდილობს დახვეწოს ნორმატიული ბაზა, რათა ხელი შეუწყოს როგორც მომხმარებლების ინტერესების დაცვას, ასევე კომპანიების საქმიანობას. ამ სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ხელვა რეგულირების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი სასამართლო პრაქტიკასაც ეკისრება.

ქვეყანაში მიმდინარე დინამიკური პროცესები, შესაბამისად, აისახება ქვეყნის კანონმდებლობაში, რის გამოც ხშირად აუცილებელი ხდება მოქმედ ნორმატიულ აქტებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. აღნიშნული გარემოებები კომისიას მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და კომისიის როლიც ამ საქმიანობაში ყოველდღე უფრო და უფრო აქტიური ხდება, კერძოდ, 2009 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად მომზადდა ცვლილებების პაკეტი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც 2009 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო 2009 წლის ზაფხულში კომისიამ მონაწილეობა მიიღო საკომიტეტო მოსმენებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის განხილვისას.

კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სისტემატურად ხდება კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ ითვალისწინებს სპეციალური მმართველის დანიშვნის ინსტიტუტის შემოღებას და აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის პირველმა სწორედ მარეგულირებელმა კომისიამ განავრცო ეს საკითხი და დანერგა პრაქტიკაში, სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და შემდგომ შუამდგომლობა შეიტანა სასამართლოში, რომელიც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

კომისიის მიერ 2009 წელს მიღებულ იქნა 24 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-დადგენილება და 78 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-გადაწყვეტილება.

საქართველოში კომისიას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გააჩნია „კვაზი“ სასამართლოების ფუნქციაც და იგი ასევე იხილავს კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილ დავებს. რეგულატორის ფუნქციაა დააახლოოს და დააბალანსოს არათანაბარ პირობებში მყოფი სამართალურთიერთობის ორი სუბიექტის, ერთი მხრივ, მონოპოლისტი კომპანიის, და, მეორე მხრივ, მომხმარებლის ინტერესები, რომელსაც არჩევანი არა აქვს და უნდა ისარგებლოს ასეთი კომპანიის მომსახურებით. კომისია სასამართლო პროცესებში ჩართულია მოსარჩელედ, მოპასუხედ და მესამე პირად როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას.

კომისია აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და დაწესებულებასთან, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებთან, ახორციელებდა სამართლებრივი დახმარებისა და თანამშრომლობის კოორდინაციას.

კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა კომისიის ინტერესების დაცვა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. 2009 წელს კომისია მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სტატუსით ჩართული იყო 26 სასამართლო პროცესში (22 საქმეზე მოპასუხის სტატუსით, 2 საქმეზე მესამე პირის სტატუსით, 2 საქმეზე სპეციალური მმართველის დანიშვნის მოთხოვნით). ამ საქმეებიდან ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართეს მოსარჩელებმა 20 საქმეზე, რომელთაგან კომისიის სასარგებლოდ გადაწყდა I ინსტანციაში 5 საქმე (მიმდინარეობს სააპელაციო განხილვები), სააპელაციო სასამართლოში – 4 საქმე, სამივე ინსტანციაში – 7 საქმე. 1 საქმე შეჩერებულია ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით I ინსტანციის სასამართლოში. კომისიის მიერ წაგებულია 1 საქმე სააპელაციო ინსტანციაში. უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს 1 საქმის განხილვა.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოსარჩელემ მოითხოვა 2 საქმეზე, აქედან ერთი საქმე კომისიის სასარგებლოდ გადაწყდა სამივე ინსტანციაში, ხოლო მეორე შეჩერებულია სასამართლოს მიერ I ინსტანციაში.

2 საქმეზე კომისიის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შუამდგომლობა სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ და ორივე შემთხვევაში დაკმაყოფილდა. ამჟამად სპეციალური მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს საქმეების განხილვა (მხარეები ითხოვენ კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას).

ჩამოთვლილი საქმეებიდან 2009 წლის საქმეა 18, დანარჩენები კი 2003 წლიდან იხილება სასამართლოებში.

მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა სატარიფო და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მეთოდოლოგიების შემუშავება. ამ მიმართულებით 2009 წლის 9 ივლისს კომისიამ მიიღო №12 დადგენილება: „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ”.

დადგენილებაში მოცემულია მიმწოდებლის, განაწილების ლიცენზიატისა და მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები, ბუნებრივი გაზის აღრიცხვის, მომარაგების აღდგენისა და შეწყვეტის, ქსელის გაფართოების წესების, მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის დარიცხვისა და ამოღების, მოხმარებული ბუნებრივი გაზის გადაუნდებლობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის პირობები და პროცედურები, ბუნებრივი გაზით უკანონოდ სარგებლობის ფაქტის აღკვეთის, საექსპლოატაციო წესების დარღვევით მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობის განსაზღვრის, განაწილების ლიცენზიატის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთებისა და მომსახურების პირობები.

შესაბამისად, აღნიშნული დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის №10 დადგენილება (სსმ ირი, 10.10. 2004 წ, №112, მუხ. 997).

დადგენილებაში გათვალისწინებულ იქნა ზემოთ მოცემული სამართლებრივი აქტის ამოქმედების შედეგად მიღებული გამოცდილება.

გარდა ამისა, კომისიამ მოამზადა „სასმელი წყლით წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემაში არსებული მდგომარეობისა და მისი რეაბილიტაცია – განვითარების შესახებ ინფორმაციის“ წარმოდგენისათვის საჭირო ცხრილები. აღნიშნული ცხრილები მომზადდა კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საქმე იმაშია, რომ საწარმოებმა აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესრულება განსაზღვრულ დროში ვერ შეძლეს. სათანადო ანალიზისა და გადაშუშავების შემდეგ „სასმელი წყლით წყალმომარაგებასა და წყალარინების სისტემებში არსებული მდგომარეობისა და მისი რეაბილიტაცია-განვითარების შესახებ“ თანდართული ცხრილები შემსრულებლებს გაეგზავნათ 2009 წლის აგვისტოში და კომისიაში სათანადო წესით შევსებული უნდა წარმოადგინონ.

საანგარიშო წელს კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. „ელექტროენერგით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების“ დამტკიცების შესახებ“ (2009 წლის 24 სექტემბრის №15/1 გადაწყვეტილება):

კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, განაწილების ლიცენზიატების მიმართ განსაზღვრული იყო ვალდებულება – ყოველი კვარტლის დამთავრებიდან ერთი თვის

განმავლობაში მიაწოდოს კომისიას ელექტროენერგიით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრი გასული პერიოდის შესახებ, კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.

2. „ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების“ დამტკიცების შესახებ” (2009 წლის 24 სექტემბრის №15/2 გადაწყვეტილება):

კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისა და განაწილების ლიცენზიატების მიმართ განსაზღვრული იყო ვალდებულება – ყოველი კვარტლის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში მიაწოდოს კომისიას ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრი გასული პერიოდის შესახებ, კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.

3. „წყალმომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმების“ დამტკიცების შესახებ” (2009 წლის 24 სექტემბრის №15/3 გადაწყვეტილება):

კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით, სასმელი წყლის მიმწოდებლის მიმართ განსაზღვრულია ვალდებულება, ყოველი კვარტლის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში მიაწოდოს კომისიას წყალმომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრი გასული პერიოდის შესახებ, კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.

სამივე გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული დადგენილებების მოთხოვნების შესრულების მიზნით, კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა და დამტკიცდა ელექტროენერგიით, ბუნებრივი გაზითა და წყლით მომარაგებისა და 2008 წელს მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმები, რაც ხელს შეუწყობს კომისიაში ინფორმაციის შემოსვლის სისტემატიზაციას, უფრო გაამარტივებს დარგში არსებული ინფორმაციის ანალიზსა და ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას არსებული რეალობის შეფასებას.

სერტიფიკაცია

საანგარიშო წელს კომისია აგრძელებდა სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ინსტრუქციების პროექტების დამუშავებასთან, მათ დამტკიცებასა და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებში აღნიშნული სისტემის დანერგვასთან.

როგორც ცნობილია, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები, სს „თელასი“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, ფლობენ მაღალი (110, 35კვ), საშუალო (10, 6კვ) და დაბალი ძაბვის (380\220 ვოლტის) ელექტრულ ქსელებს, ხოლო „კახეთის ელექტროდისტრიბუცია“ ფლობს საშუალო (10, 6კვ) და დაბალი (380, 220ვ) ძაბვის ქსელებს.

ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში წარმოადგენენ ბუნებრივ მონოპოლიებს და მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო

ქცევის წესების დადგენასა და რეგულირებას ახდენს კომისია თავისი ნორმატიული აქტების მეშვეობით.

კომისიის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისა და ყველა კატეგორიის მომხმარებლის ინტერესების დაბალანსება. მათ შორის პრიორიტეტები ენიჭება მომხმარებლის მომსახურების ხარისხის მონიტორინგს.

მომხმარებელთა ელექტრომომარაგების მომსახურების ხარისხი განისაზღვრება სამი ძირითადი მაჩვენებლით:

1. ელექტროენერჯის ხარისხით, რომელიც ხასიათდება ელექტროენერჯის ფიზიკური თვისებების (ძაბვის ცვალებადობის, სიხშირის, ელექტრული დენის სიმეტრიულობისა და სხვა) შესაბამისობით სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.
2. ელექტრომომარაგების საიმედოობით (უწყვეტობა), რომელიც განსაზღვრავს განაწილების ლიცენზიატის შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნა მათი საიმედო ელექტრომომარაგებით. ეს მაჩვენებელი ხასიათდება ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტების რაოდენობითა (სიხშირით) და მათი ხანგრძლივობით.
3. კომერციული ხარისხით, რომელიც ხასიათდება ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობით, რაც გამოიხატება მომხმარებელთა მოთხოვნების დროულად და ხარისხიანად შესრულებით (აღრიცხვის კვანძის მოწყობა, გამორთული მომხმარებლის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში განმეორებითი ჩართვა, ანგარიშის წარდგენა, მრიცხველის ჩვენების წაკითხვა, მომხმარებლის მიმართვაზე ან საჩივარზე რეაგირება და სხვა).

კომისიამ იხელმძღვანელა ERRA-ს რეკომენდაციებით, რამდენიმე ქვეყნის (იტალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ-ს ვერმონტის შტატი, უნგრეთი, რუმინეთი და სხვა) გამოცდილებითა და მსოფლიო ბანკის მიერ მოწვეული ექსპერტის კონსულტაციებით. შეიმუშავა მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობისა და კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციების პროექტები.

კომისიის 2009 წლის 1 აპრილის №3 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“. იგი ითვალისწინებს:

- ა) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და დამუშავებას;
- ბ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის წარდგენას კომისიაში;
- გ) კომისიის მიერ მომხმარებელთა მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ განაწილების ლიცენზიატის მიერ წარდგენილი ანგარიშის მონაცემთა გაანალიზებასა და მონიტორინგს.

კომისიის 2009 წლის 4 ივნისის №9 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“. იგი მოიცავს:

- ა) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციასა და დამუშავებას;
- ბ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას კომისიაში;
- გ) კომისიის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისგან კომისიაში წარდგენილი ანგარიშის მონაცემთა გაანალიზებასა და შემოწმებას.

ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებში მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვა ხორციელდებოდა და ხორციელდება კომისიის უშუალო რეკომენდაციებითა და კონსულტაციებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ სს „თელასში“ ჩატარდა სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა ელექტროენერჯის განაწილების ყველა ლიცენზიატის წარმომადგენელი. ისინი ცალ-ცალკე იყვნენ მიწვეული კომისიაში, სადაც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაციები.

ინსტრუქციების შესაბამისად, ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები ვალდებული არიან კომისიას მოაწოდონ მონაცემები ყოველი კვარტლისა და წლის დამთავრების შემდეგ.

სს „თელასიდან“ მიღებული 2009 წლის მე-4 კვარტლის მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები მოცემულია შესაბამის დანართებში (9,10).

სს „თელასის“ განაწილების არეალში, როგორც დანართებიდან ჩანს, ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების საშუალო დრო (SAIDI), შიდა მიზეზებით გამოწვეული, ქალაქში არის 259,241 წუთი/მომხმარებელი, ხოლო გარე უბნებისათვის – 71,777 წუთი/მომხმარებელი.

ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების საშუალო სიხშირე ერთ მომხმარებელზე (SAIFI), შიდა მიზეზებით გამოწვეული, ქალაქისათვის შეადგენს 2,782 გამორთვა/მომხმარებელს, გარე უბნისთვის – 0,284 გამორთვა/მომხმარებელს.

სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ არეალში მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. დანართი 11): ამ კომპანიაში ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების წლიური საშუალო დრო (SAIDI) არის 1981,2 წუთი/მომხმარებელი; ხოლო ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების სიხშირის საშუალო წლიური მაჩვენებელია (SAIFI) 10,36 გამორთვა/მომხმარებელი.

ლიცენზიატის მიერ 2009 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ელექტროენერჯის მიწოდების არაგეგმური წყვეტის 20049 შემთხვევა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია არაგეგმური წყვეტების დროს ვერ ეტევა იმ დროში, რომელიც განსაზღვრულია ინსტრუქციით ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენისათვის. კერძოდ, ის აღდგენას ასრულებს 5 სამუშაო დღეში.

ასევე ვერ ეტევა იმ დროში (6 საათი), რომელიც განსაზღვრულია გადაუხდელობის გამო გათიშულ მომხმარებელთა ქსელში ჩართვისთვის. ის ჩართვას ასრულებს 24 საათში ან 8 სამუშაო საათში.

ინსტრუქციით განსაზღვრულია აღრიცხვის ხელსაწყოების შემოწმება 2 სამუშაო დღეში. ლიცენზიატი ამ სამუშაოს ასრულებს 5 სამუშაო დღეში.

მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების ხარისხის ინსტრუქციები და შესაბამისი კრიტერიუმები დამუშავდა განაწილების ლიცენზიატების მონაწილეობით და დადგენილების მიღებამდე იგი რამდენჯერმე იქნა კიდევ განხილული მათთან ერთად, როგორც ლიცენზიატის წარმომადგენლები

აცხადებენ, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად ინსტრუქციით განსაზღვრულ დროში ისინი ვერ ეტევიან.

ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს ლიცენზიატი ხსნის განაწილების არეალის რელიეფის სირთულთა და განსაკუთრებით იმ მანძილების სიშორით, რომლებიც არის მომსახურების ცენტრებსა და მომხმარებელთა შორის, განსაკუთრებით ეს ეხება დაბებსა და სოფლებს. აღნიშნული საკითხები შესასწავლი და გასაანალიზებელია.

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ 2009 წლის IV კვარტლის მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები მოცემულია დანართებში (12,13).

ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების საშუალო დრო (SAIDI), რომელიც გამოწვეულია შიდა მიზეზებით, ქალაქში შეადგენს 12,107 წუთ/მომხმარებელს, სოფელში – 40,73 წუთ/მომხმარებელს.

ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმური გამორთვების საშუალო სიხშირე (SAIFI), რომელიც შიდა მიზეზებითაა გამოწვეული, ქალაქისათვის არის 2,118 გამორთვა/მომხმარებელი, სოფლისთვის – 5,736 გამორთვა/მომხმარებელი.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატს მომხმარებლებისაგან სულ მიღებული აქვს 78 მიმართვა. ამათგან 74-ს გაეცა პასუხი ინსტრუქციით განსაზღვრულ დროში (2 კვირის განმავლობაში).

არაგეგმური წყვეტების გამო გამორთული მომხმარებლების დიდ უმრავლესობას ელექტრომომარაგება აღუდგა ინსტრუქციით განსაზღვრულ დროში.

დანართში აგრეთვე მოცემულია სხვა სამუშაოები, რომლებიც გაეწია მომხმარებლებს. მათი შესრულების დრო ძირითადად ემთხვევა ინსტრუქციით განსაზღვრულ დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ჩატარებული სამუშაო ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, თუმცა დროთა განმავლობაში იგი უნდა დაიხვეწოს.

2010 წელი უნდა განისაზღვროს, როგორც მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვისა და მისი მოქმედების საცდელი პერიოდი. ამ დროში მიღებული გამოცდილების საფუძველზე ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებთან ერთად უნდა მოხდეს აღნიშნული სისტემისა და შესაბამისი ინსტრუქციების სრულყოფა, ასევე უნდა დაიწყოს წინადადებების მომზადება წახალისებისა და დასჯის ფორმებთან დაკავშირებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ან გაუარესების შემთხვევაში.

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

როგორც გასულ წლებში, საანგარიშო წელსაც კომისია უზრუნველყოფდა უცხოელ პარტნიორებსა (საზღვარგარეთის ქვეყნების ენერგეტიკულ დაწესებულებებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირსა და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობას. საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, მედიის საშუალებით ავრცელებდა ინფორმაციას გადაწყვეტილებების, სხდომის დღის წესრიგის, ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, კომისიისა და აპარატის საქმიანობისა და სხვა საკითხების შესახებ, მაქსიმალურად უზრუნველყოფდა კომისიის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ბეჭდვითი, სატელევიზიო მედიისა თუ რადიომაუწყებლობის საშუალებით, კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებდა მედიაში გაშუქებულ არასწორ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია, რომ ქართული მარეგულირებელი ორგანო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) უშუალო ხელშეწყობით ჩამოყალიბდა, ხოლო პირველი პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, 1999 წელს, კომისიასა და აშშ-ის მიჩიგანის შტატის კომისიას შორის, შექმნა პირველი სატარიფო მეთოდოლოგიების პროექტები, რომელთაც კომისიამ შემდგომში საბოლოო და ნორმატიული დოკუმენტების სახე მისცა. რაც შეეხება ქართველ და ამერიკელ რეგულატორთა შორის სრულიად ახალი ტიპის თანამშრომლობას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომისიის შემდგომი განვითარების, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შექმნისა და ჩვენს ქვეყანაში რეგულირების უახლესი პრაქტიკის დანერგვის საქმეში. მას საფუძველი ჯერ კიდევ 2008 წელს ჩაეყარა, როცა აშშ-ის მარეგულირებელი კომისიის – ვერმონტის შტატის კომუნალური მომსახურების საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ჯონ ბურკე და ამავე საბჭოს წამყვან სპეციალისტთა ჯგუფი პირველი სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ კომისიას.

პარტნიორობის პროგრამის დახმარებით, რომელიც USAID-ისა და კომუნალურ მომსახურებათა მარეგულირებელი ეროვნული ასოციაციის (NARUC) მხარდაჭერითა და ძალისხმევით განხორციელდა, საქართველოში შეიქმნა გამოცდილების გაზიარების, რეგულირების უახლესი პრაქტიკის დანერგვისა და მარეგულირებელი ინსტიტუტის გამყარების საუკეთესო პირობები.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიამ უზრუნველყო შემდეგი საერთაშორისო მნიშვნელობის სამუშაო შეხვედრების საქართველოში ჩატარება:

- კომისიასა და ვერმონტის საზოგადოებრივი მომსახურების საბჭოს შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში, 2009 წლის 26 ივნისიდან 3 ივლისამდე, ქ. ქუთაისში, კომისიის ოფისში, რევით მესამე შეხვედრა გაიმართა. კომისიის წევრებსა და ამერიკელ რეგულატორთა შორის მოხდა ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილების გაზიარება.
- 2009 წლის 1-2 ოქტომბერს, კომისიის ძალისხმევითა და ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) ხელშეწყობით, ქ. ბათუმში გაიმართა „სამართლებრივი რეგულირების სამუშაო ჯგუფის“ შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს, ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილებოდა მარეგულირებელი ორგანოების იურიდიული საკითხები. აღნიშნულ შეხვედრაზე კომისიის იურიდიული საქმიანობის ამსახველი პრეზენტაციებით წარსდგნენ

იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები (თემები: კომისიის იურიდიული დეპარტამენტის სტრუქტურა, ფუნქცია და საქმიანობა; ტარიფის მიღების პროცედურები; იურიდიული ასპექტები; მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკაში; როგორ გამოვიყენოთ სანქციები მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებების დარღვევისას) და მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური (თემა: მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები);

- ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) ხელშეწყობითა და INOGATE-ს პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამა (PEER REVIEW), რომლის წარმომადგენლებმაც, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო ექსპერტებმა, 2009 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს კომისიაში სამუშაო შეხვედრები გამართეს. პროექტში საქართველოსთან ერთად 11 პარტნიორი ქვეყანა მონაწილეობს და იგი მიზნად ისახავს ევროკავშირს, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებს შორის ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას.

2009 წელს კომისია ასევე აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირებისადმი მიძღვნილ კონფერენციებსა და სემინარებში, მათ შორის: ავსტრიაში, უნგრეთში, ლატვიაში, იტალიაში, საბერძნეთში, აშშ-სა და პოლონეთში. იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის თანამშრომლები გაწევრიანებული არიან ERRA-ს კომიტეტებში, წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნული კომიტეტების სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებში.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2009 წლის 6-10 აპრილს პოლონეთში, ქ. ვარშავაში, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) და პოლონეთის მარეგულირებელი ოფისის ორგანიზებით გამართულ ინვესტირებისა და ენერგეტიკის რეგულირების მე-8 მსოფლიო საერთაშორისო კონფერენციაში. ასევე, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის ეგიდით გამართულ თავმჯდომარეთა, ლიცენზირების და ტარიფებისა და ფასწარმოქმნის კომიტეტების სხდომებში, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ა) ინვესტიციები ენერგეტიკაში – ენერგეტიკის რეგულირების საკითხები. ამ თემაზე წარმოდგენილი პრეზენტაციების მიხედვით კომისიის წევრებმა იმსჯელეს თურქეთის გამოცდილებაზე, ელექტროენერგეტიკაში ინვესტიციების განხორციელების თაობაზე;
- ბ) ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროები: შესაძლებლობები და პრობლემები, რომლის პრეზენტაციაზეც იმსჯელეს ამ მიმართულებით ევროკავშირის დირექტივების შესახებ;
- გ) ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია – აზერბაიჯანის გაზის ექსპორტის სტრატეგიასა და ERRA-ს წევრ ქვეყნებში საბაზრო სტრუქტურებთან დაკავშირებით. კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს სხვადასხვა ქვეყნებში რეგულირების საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც ელექტროენერგეტიკაში ფასების დადგენას შეეხება.

2009 წლის 10-14 მაისს საბერძნეთში, ქ. ათენში, ენერგეტიკის რეგულირების საზოგადოებრივი საბჭოს (ECRB) ეგიდით გაიმართა მარეგულირებელთა საბჭოს შეხვედრა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ენერგეტიკული საზოგადოების წევრ ქვეყნებში არსებულ რეგულირების წესებთან დაკავშირებით.

საანგარიშო წლის 24-31 ივლისს აშშ-ში, ვისკონსინის უნივერსიტეტში (მედისონი), USAID-ის „ენერგეტიკული შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის“ (ECI) მიერ ორგანიზებული იყო სასწავლო ტური თემატიკით: „ენერგეტიკის ეკონომიკა, ტექნოლოგიები და პოლიტიკა“. სემინარის მიმდინარეობისას საუბარი შეეხო ქართულ ელექტროენერგეტიკულ სფეროში არსებულ პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე ინტეგრირებაში.

2009 წლის 5-6 ოქტომბერს ესტონეთში, ქ. ტალინში, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) ეგიდით გაიმართა ლიცენზირებისა და კონკურენციის კომიტეტის სხდომა. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ERRA-ს წევრ ქვეყნებში საბაზრო წესებთან დაკავშირებული პროექტის მომზადებასა და ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესის თანმდევ ძირითად ტენდენციებზე.

საანგარიშო წლის 18-21 ოქტომბერს საბერძნეთში, ქ. ათენში, ჩატარდა ენერგეტიკის რეგულირების მე-4 მსოფლიო ფორუმი. მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ათასამდე დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ამ ქვეყნების მარეგულირებელ ორგანოებს, მთავრობებს, ენერგეტიკული კომპანიების ხელმძღვანელებს, ფინანსისტებს, მომხმარებელთა კავშირებსა და, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ფორუმზე განიხილეს ენერგეტიკის რეგულირების ახალი ტენდენციები, ენერგეტიკის სექტორის უახლესი მიღწევები, აგრეთვე, სხვა საკითხები, რომლებიც მიეძღვნა რეგიონალურ და გლობალურ პრობლემებს.

საანგარიშო წლის 11-12 ნოემბერს თურქეთში, ქ. სტამბულში, USAID-ის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, აშშ-ის ენერგეტიკულ ასოციაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში ელექტროგადამცემი ხაზების განვითარებას. ღონისძიების მიმდინარეობისას გაკეთდა 25 თემატური მოხსენება, რომლებიც შეეხო რეგიონის როგორც სახელმწიფოთაშორისო, ისე ნაციონალური ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის გაძლიერების, ამ რეგიონის 2020 წლისათვის ელექტროენერჯის საპროგნოზო მოხმარებისა და უზრუნველყოფის, ელექტროენერჯით ვაჭრობის საკითხებს. სემინარი მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო საქართველოსთვის, ვინაიდან სამხრეთ საქართველოში მალე დაიწყება ახალი 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის დამთავრებაც ნავარაუდევია 2012 წლისათვის, რის შემდეგაც გაიზრდება საქართველოს ელექტროსისტემის მდგრადობა და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის როგორც ელექტროენერჯის ექსპორტიორის, ისე სატრანზიტო როლი.

სემინარის დასრულების შემდეგ, 12 ნოემბერს, საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქეთის, მოლდოვას, სომხეთის მარეგულირებელი კომისიების, USAID-ისა და NARUC-ის წარმომადგენლების მონაწილეობით შედგა შეხვედრა, სადაც განხილული იყო იდეა შავი ზღვის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიცაა ამ რეგიონის მარეგულირებელ კომისიებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანოებს შორის ინფორმაციების გაცვლა როგორც მიმდინარე, ისე ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარების საკითხებზე.

III. რეგულირების დარგების მდგომარეობა

ელექტროენერგეტიკა

2007 წლის სექტემბერში ევროკავშირის კომისიამ გამოაქვეყნა თავისი წინადადებები ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის ლიბერალიზაციის კანონპროექტების „მესამე პაკეტთან“ დაკავშირებით, რომელშიც შევიდა ხუთი დოკუმენტი. მათი დანიშნულებაა მოახდინოს ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის საკვანძო მიზნების რეალიზაცია: კონკურენტული ბაზრის შექმნა, გარემოზე დატვირთვის შემცირება და ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება. „მესამე პაკეტი“ მოწოდებულია უზრუნველყოს სამი ძირითადი ცვლილება ენერგეტიკულ სექტორში: ბიზნესის სეგმენტების საბოლოო დაყოფა; მარეგულირებელი სააგენტოების გაძლიერება; ქსელების ოპერატორებს შორის თანამშრომლობის პირობების სრულყოფა.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 26 ივნისის 2003/54/EC „ელექტროენერჯის შიდა ბაზრის მარეგულირებელი წესების შესახებ“ დირექტივიდან გამომდინარე, ქართული ენერგეტიკული ბაზარი თავისი სტრუქტურითა და განვითარების ვექტორით ნაწილობრივ შეესაბამება თანამედროვე დასავლური ენერგეტიკული ბაზრის მოდელს, კერძოდ, მოხდა ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული სისტემის დაყოფა ფუნქციონალურ კომპანიებად – სახელმწიფო კომპანია „საქენერჯოს“ დაყოფა გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩინგისა და განაწილების სექტორებად. შეიქმნა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (1997 წ.), რომელსაც განესაზღვრა უფლებამოსილებანი – ლიცენზირება, ტარიფების დადგენა, ენერგეტიკული ბაზრისა და მისი სუბიექტების მონიტორინგი, მათ შორის და მათ და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა. გენერაციის სექტორში, სრული და ნაწილობრივი დერეგულირების გზით, მოხდა კონკურენციის გაჩენის ნორმატიული საფუძვლების შემოტანა. ტარიფების დადგენისას მაქსიმალურად იქნა თავიდან აცილებული ჯვარედინი სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესების გათვალისწინებით (დადგენილ იქნა საფეხურებრივი ტარიფები, რომლებიც იმავდროულად ხელს უწყობენ ენერჯის ეფექტიანად გამოყენებას). ამჟამად ხორციელდება ბუნებრივად მონოპოლიზირებული ბაზრის პერმანენტული გახსნის პროცესი. „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესი გაწერილია 2017 წლამდე, როდესაც ყველა მომხმარებელს შეეძლება ელექტროენერჯია შეისყიდოს ნებისმიერი გამყიდველისაგან. მოქმედებას იწყებს გამანაწილებელი კომპანიებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტობისა და კომერციული მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების სისტემა და განიხილება მათ დარღვევებზე რეაგირებისა და სანქციების სახეები და ა.შ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართულ ელექტროენერგეტიკულ ბაზარს აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა აღმოფხვრა გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს მის ინტეგრირებას საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარში, კერძოდ:

- ენერგეტიკული განათლების შეუსაბამობა თანამედროვე ბაზრის საკადრო მოთხოვნებთან (როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე თემატურ-პროგრამული);

- ენერგეტიკული კომპანიების არასაკმარისი უზრუნველყოფა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, კვალიფიციური კადრებით, პროგრამული პროდუქტებით, აგრეთვე მომხმარებლებთან ურთიერთობის შეუსაბამობა თანამედროვე, მოწინავე ქვეყნებში მიღებულ პრინციპებთან;
- ენერგოეფექტიანი ღონისძიებებისა და საშუალებების და განახლებადი, მათ შორის ალტერნატიული, ენერჯის წყაროების გამოყენების პრიორიტეტულობისა და აუცილებლობის არასათანადო აქტუალიზაციითა და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არარსებობა;
- ელექტრულ ქსელზე მესამე მხარის თავისუფალი დაშვებისა და ქსელზე მიერთების წესისა და საფასურის დადგენის პრინციპების არასრულყოფილი მეთოდოლოგიური და ნორმატიული საფუძვლები;
- ტერმინოლოგიური შეუსაბამობანი ენერგეტიკაში ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივებთან;

თანამედროვე პირობებში საქართველოს საბითუმო ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ფუნქციონირებს დისპეტჩერიზაციის (იხ. დანართი 5) ერთი ლიცენზიატი (კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დასაშვებია დისპეტჩერიზაციის საქმიანობის მხოლოდ ერთი ლიცენზიის გაცემა) და იგი უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირებას უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპების შესაბამისად დამტკიცებული ბალანსებისა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მოთხოვნების თანახმად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და გადაცემის ლიცენზიატი „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ წარმოადგენს ერთ იურიდიული პირს. გადაცემის ქსელი მოიცავს 110 კვ-ზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (დანართი 14), აგრეთვე სასისტემო მნიშვნელობის 35-110 კვ-იან ხაზებსა და ქვესადგურებს. სასისტემო და სისტემათშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზების სიას ამტკიცებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. გადაცემის ლიცენზიატი უზრუნველყოფს გადამცემი ქსელისა და მიერთებული საშუალებების უსაფრთხო, საიმედო და არადისკრიმინაციულ ურთიერთდაკავშირებასა და ექსპლოატაციას. საქართველოში ფუნქციონირებს აგრეთვე გადაცემის მეორე ლიცენზიატი „საქრუსენერგო“. უახლოეს რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია გაჩნდეს გადაცემის კიდევ ერთი ლიცენზიატი, ვინაიდან დაიწყო ახალი შავი ზღვის გადამცემი 500/400 კვ-იანი (დანართი 14) სისტემის მშენებლობა. საქართველოს ენერგოსისტემას გააჩნია ტრადიციული პრობლემა – ჰიდროგენერაციის დიდი ნაწილი (ორი მესამედი) განთავსებულია ქვეყნის ჩრდილო დასავლეთში, ხოლო მოხმარების ორი მესამედი აღმოსავლეთშია. პრობლემატურია აგრეთვე ის, რომ ქვეყანა ფაქტობრივად მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჰიდრორესურსებზე და, შესაბამისად, მეტეოროლოგიურ პირობებზე. არსებული წყალსაცავიანი ჰიდროენერგო სიმძლავრეები, განკუთვნილი იყო რა სისტემის დატვირთვის პიკური ნაწილების დასაფარად, ამჟამად გამოიყენებიან როგორც ნახევრად ბაზისური. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ უმნიშვნელოვანესი სიმძლავრეები (1500 მვტ-მდე) განთავსებულია კონფლიქტის ზონაში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო არის რეგიონში ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების მფლობელი. ჰიდრორესურსების ხვედრითი ოდენობით იგი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე იმყოფება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2008 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს ახალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს შიგა ელექტრომომარაგების საიმედოობას, გააუმჯობესებს რეგიონში ამ სფეროში თანამშრომლობასა და ელექტროენერჯით ვაჭრობის პირობებს. პროექტი გააფართოებს საქართველოს 500 კვ-იან გადამცემ სისტემას ორი ახალი

კავშირით, 500კვ-ზე გარდაბნისა და ზესტაფონის ქვესადგურებიდან ახალციხის მშენებარე ქვესადგურთან (იხ. დანართი 14), რომელიც დაკავშირებულ იქნება თურქეთის გადამცემ სისტემასთან ბორჩხაში 400კვ ძაბვაზე. პროექტი დაასრულებს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის 500 კვ-იან კავშირს, რაც გააიოლებს ამ ორი სისტემის ურთიერთმხარდაჭერას (ურთიერთქმედებას).

პროექტი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- 400 კვ ეგზ „მესხეთის“ მშენებლობა ქ/ს ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე (34კმ);
- 500 კვ ეგზ „ზეკარის“ ქ/ს „ზესტაფონიდან“ ქ/ს „ახალციხემდე“ (59 კმ) და 500 კვ ეგზ „ვარძიას“ ქ/ს „გარდაბანი“ - ქ/ს „ახალციხემდე“ (188კმ) მშენებლობების დასრულება;
- ასაშენებელია 500/400 კვ-იანი ქვესადგური „ახალციხე“ 1000 მვტ-მდე სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართით (ცვლადი დენის გარდაქმნა მუდმივ დენად (გამართვა), შემდეგ მისი კვლავ გარდაქმნა ცვლად დენად(ინვერტირება);
- 500 კვ-იან ქვესადგურ „ზესტაფონში“ მოეწყობა 500 კვ-იანი უჯრედი, მართვის, დაცვისა და ავტომატიკის, არსებულთან თავსებადი სისტემებით;
- 500 კვ-იან ქვესადგურ „გარდაბანში“ მოეწყობა 500 კვ-იანი უჯრედი, მართვის, დაცვისა და ავტომატიკის, არსებულთან თავსებადი სისტემებით.

ამჟამად პროექტი განხორციელების აქტიურ ფაზაში შევიდა.


საანგარიშო წელს საქართველოს საბითუმო ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ფუნქციონირებდა ელექტროენერჯის განაწილების სამი ლიცენზიატი, რომელთა ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე ვალდებულებაა უზრუნველყონ თავისი ლიცენზიის მოქმედების სფეროში მომხმარებელთა ელექტროენერჯით (სიმძლავრით) უწყვეტი მომარაგება (ელექტროენერჯის განაწილება-მიწოდება და გატარება) მომსახურებისა და ელექტროენერჯის ხარისხის შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფით – მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის პირობით.

- საანგარიშო წელს სს „თელასის“ ქსელში მიღებული ელექტროენერჯია შეადგენს – 1 863 506 391 კვტ.სთ-ს, ხოლო რეალიზებული – 1 546 340 893 კვტ.სთ-ს (35-110კვ ძაბვაზე – 6 252 732 კვტსთ, 6-10კვ ძაბვაზე – 248 536 516 კვტსთ, 0,4კვ ძაბვაზე – 1 291 551 645 კვტსთ), ფაქტიური ჯამური დანაკარგი – 317 165 497 კვტ.სთ-ს, ანუ 17%-ს (ნახ 1.2.), 2008 წელს – 19,9%-ს.

ნახ. 1.2.


ა)

სს თელასის“ ელექტრულ ქსელში მიღებული და რეალიზებული ელექტროენერგია (კვტსთ; %) 2009 წ.



ბ)

დანაკარგები სს „თელასის“ ელექტრულ ქსელში (%) 2009წ. თვეების მიხედვით




- სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ქსელში მიღებული ელექტროენერგია შეადგენს 227 679 055 კვტ.სთ-ს, ხოლო რეალიზებული – 166 650 500 კვტ.სთ-ს (35-110კვ ძაბვაზე – 450 660 კვტსთ, 6-10კვ ძაბვაზე – 21 586 056 კვტსთ, 0,4კვ ძაბვაზე – 144 613 784 კვტსთ), ფაქტობრივი ჯამური დანაკარგი შეადგენს 61 028 556 კვტ.სთ-ს, ანუ 26,8%-ს (ნახ 1.3.). 2008 წელს ფაქტობრივი დანაკარგი შეადგენდა 17,2 %-ს.

ნახ.1.3.


სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ელექტრულ ქსელში მიღებული და რეალიზებული ელექტროენერგია (კვტსთ; %) 2009 წ.

ა)



ბ)

დანაკარგები სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ელექტრულ ქსელში (%) 2009წ. თვეების მიხედვით




- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქსელში მიღებული ელექტროენერგია 2 479 275 313 კვტ.სთ-ია, ხოლო რეალიზებული – 2 077 046 220 კვტ.სთ (35-110კვ ძაბვაზე – 221 407 803 კვტსთ, 6-10კვ ძაბვაზე – 403 439772 კვტსთ, 0,4კვ ძაბვაზე – 1 452 198 645 კვტსთ),

ფაქტობრივი ჯამური დანაკარგი შეადგენს – 402 229 093 კვტ.სთ-ს, ანუ 16,2%-ს (ნახ. 1.4.). 2008 წელს ელექტროენერჯის ფაქტობრივი დანაკარგი შეადგენდა 20%-ს).

ნახ. 1.4.


ა)

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტრულ ქსელში მიღებული და რეალიზებული ელექტროენერჯია (კვტსთ; %) 2009 წ.



ბ)

დანაკარგები სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტრულ ქსელში (%) 2009წ. თვეების მიხედვით




ელექტროენერჯის წარმოების სფეროში 2006 წლიდან გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, მცირე ჰიდროელექტროსადგურების (13 მვტ-მდე) სრული (ფუნქციონირებენ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფისა და ლიცენზირების გარეშე) და პრივატიზებული საშუალო და მსხვილი ელექტროსადგურების ნაწილობრივი დერეგულირება (ფუნქციონირებენ კომისიის

მიერ გაცემული ლიცენზიითა და ზღვრული ტარიფით). 2009 წლის მონაცემებით სრულად დერეგულირებულია, დაახლოებით, 35 მცირე ელექტროსადგური (ჯამური საპროექტო სიმძლავრით – 86 მვტ. 2009 წელს გამოიმუშავეს 248,5 მლნ. კვტსთ ელექტროენერგია, მთლიანად ქვეყანაში გამოიმუშავებულის 3%). მათ ელექტროენერგის რეალიზაცია შეუძლიათ როგორც პირდაპირი ხელშეკრულებით (მათ შორის საცალო მომხმარებელზე), ასევე სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით მახალანსირებელ ბაზარზე. 2009 წლის მონაცემებით ნაწილობრივ დერეგულირებულია 16 ელექტროსადგური (ჯამური საპროექტო სიმძლავრით – 1 103,3 მვტ. 2009 წელს გამოიმუშავეს 3 601,0 მლნ.კვტსთ ელექტროენერგია (ნახ. 1.5.), მთლიანად ქვეყანაში გამოიმუშავებულის 43,5%). საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში მარეგულირებელი სადგურების სტატუსით სარგებლობს ორი სადგური – „ენგურჰესი“ და „ვარდნილჰესი“ – საპროექტო სიმძლავრით, შესაბამისად, 1300 მვტ და 220 მვტ (2009 წელს გამოიმუშავეს, შესაბამისად, 2 931,7 და 533,4 მლნ.კვტსთ ელექტროენერგია, მთლიანად ქვეყანაში გამოიმუშავებულის 41,9%). 2009 წელს საქართველოს ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგის მოცულობა შეადგენს 8 278,1 მლნ.კვტსთ-ს (დანართი 15).

ნახ. 1.5.

მარეგულირებელი, დერეგულირებული, ნაწილობრივ დერეგულირებული და თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია 2009 წ. (მლნ.კვტსთ)



„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 49³ მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ყველა ჰიდროელექტროსადგური დერეგულირებულია. საანგარიშო წელს დაზუსტდა 78 მვტ-იანი „ფარავანჰესის“ (მშენებლობა აგვისტოში უნდა დაწყებულიყო) მშენებლობის ვადები, რომლებიც განსაზღვრული იყო სახელმწიფოსა და „ჯორჯიან ურბან ენერჯის“ შორის 2007 წელს გაფორმებული მემორანდუმით.

საქართველოს მთავრობასა და „ზოტი ჰიდროს“ (95% წილის მფლობელი კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“) შორის გაფორმებული მემორანდუმით 2010 წელს დაიწება 41,2 მვტ-იანი კასკადის მშენებლობა გურიაში (ზოტი ჰესი), ასევე გაფორმდა მემორანდუმი 28 მვტ-იანი „მტკვარიჰესის“ მშენებლობაზე.

საანგარიშო წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მთავრობასა და Nural Energy Production and Marketing Inc-ს (თურქეთი), Korea Electric Power Corporation და SK Engineering and Construction Co, Ltd (კორეა) შორის


გაფორმებული მემორანდუმი ნამახვანის კასკადის (450 მვტ დადგმული სიმძლავრითა და 1,5 მილიარდი კვტსთ წლიური გამოძევაებით) მშენებლობასთან დაკავშირებით. მშენებლობის დაწყება იგეგმება 2011 წლიდან.

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მნიშვნელოვანი სუბიექტია. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია საბალანსო ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე ხელშეკრულებების გაფორმების გზით), სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფა, ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა-წარმოება.

ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის განხორციელება, შესაბამისი პროცედურების დაცვით, შეუძლია ნებისმიერ პირს. კომისია ადგენს იმპორტის ზღვრულ ტარიფს. საანგარიშო წელს საქართველოში იმპორტ-ექსპორტის სუბიექტები იყვნენ (ნახ. 1.6 და ნახ. 1.7.): სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“, შპს „ესკო“, შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“, შპს „საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენდნენ: TGR Energy, Inter RAO, Multiplex, Azerenergy, TETAS, Baltic Power Systems Services Corporation.


ნახ. 1.6.

ელექტროენერჯის იმპორტი 2005-2009 წწ. (ათ.კვტსთ)



ნახ. 1.7.

ელექტროენერჯის ექსპორტი 2005-2009 წწ. (კვტ.სთ)




გამანაწილებელ კომპანიებთან ერთად ელექტროენერჯის საბითუმო შესყიდვას აწარმოებენ პირდაპირი მომხმარებლები. „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებისა“ და „საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, 2009 წელს ელექტროენერჯის საბითუმო შესყიდვის უფლება ჰქონდათ მომხმარებლებს, რომლებიც წლიურად მოიხმარდნენ არანაკლებ 30 მლნ. კვტსთ-ს. პირდაპირი მომხმარებლების მიერ საანგარიშო წელს მოხმარებულ იქნა 1 711,4 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერჯია (2008 წლის მაჩვენებელია – 2 060,7 მლნ. კვტ.სთ).

როგორც ცნობილია, ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიან ბაზარს აწარმოებს ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, რომლის მიერ მოწოდებული 2009 წლის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზეც აგებულ იქნა ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების ამსახველი დიაგრამები:

- ნახ. 1.8. საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობა (ა) და სტრუქტურა (ბ);


ა)

ელექტროენერჯის წარმოება (სალტზე გაცემა)
2005-2009 წწ. (ათასი კვტსთ)




ბ)

ელექტროენერჯის ექსპორტი 2005-2009 წწ. (კვტ.სთ)




ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგია 2009 წ. (მლნ.კვტსთ,%)



- ნახ. 1.9. საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა (ა) და სტრუქტურა (ბ);

ა)

ელექტროენერგიის მოხმარება 2005 - 2009 წწ.
(ათასი კვტსთ)




ბ)

ენერგოკომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 2009 წ. (მლნ.კვტსთ)


- ნახ. 1.10. 2009 წლის მიწოდება-მოხმარების ბალანსი;

ელექტროენერჯის ბალანსი 2009 წელს (მლნ.კვტსთ)



- ნახ. 1.11. ელექტროენერჯის დანაკარგები სისტემაში;

საქართველოს ენერჯოსისტემაში ელექტროენერჯის დანაკარგების დინამიკა 2005-2009 წწ. (ათ. კვტსთ)



წარმოდგენილი დიაგრამების ანალიზიდან ნათლად გამოიკვეთა საანგარიშო წლის დადებითი ტენდენცია იმპორტ-ექსპორტის საღიბოში – ექსპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობა (749,4 მლნ.კვტსთ) გაცილებით სჭარბობს იმპორტირებულს (254,8 მლნ.კვტსთ). წინა წლებთან შედარებით შემცირება დაფიქსირდა ელექტროენერჯის წარმოებაში (0,012%-ით), ასევე მოხმარებაში არის მცირედი კლება (5%-ით), რაც შეიძლება აიხსნას ეკონომიკური კრიზისით. წინა წელთან შედარებით შემცირდა ელექტროენერჯის დანაკარგები სისტემაში (17%-ით).

საქართველოს საცალო ელექტროენერჯეტიკული ბაზრის დიზაინი განისაზღვრება „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით და რეგულირდება საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“. საცალო ბაზრის ძირითადი სუბიექტები არიან გამანაწილებელი კომპანიები, რომლებიც ახდენენ როგორც ელექტროენერჯის განაწილებას (ქსელური მომსახურება+მიწოდება) თავისი მოქმედების არეალში განთავსებულ საცალო მომხმარებლებზე (საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები), ასევე მის გატარებას იმ შემთხვევაში, როდესაც საცალო მომხმარებელი ელექტროენერჯიას შეიძენს მცირე ჰესიდან (ჰესები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე ნაკლებია 13 მვტ-ზე).

საანგარიშო წელს საცალო ბაზარზე მიწოდებულ იქნა 5 928,7მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია (2008 წელს – 6 014,1 მლნ.კვტსთ).

კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ არეალში განთავსებულია 871 774 აბონენტი (მათ შორის, საყოფაცხოვრებო – 841 000 და არასაყოფაცხოვრებო – 30 774). ამ კომპანიის არეალში კვლავ გამოიყენება საერთო მრიცხველები (19 200 მრიცხველი – 530 000 აბონენტი). ელექტროენერჯის პირდაპირი შესყიდვა მცირე ჰესებიდან ხორციელდება შპს „ბაკურიდან“ (მაჭახელაჰესი), შპს „ენტოდან“ (მისაქციელჰესი) და ა.შ.

კომპანია სს „თელასის“ არეალში განთავსებულია 437 114 აბონენტი (მათ შორის საყოფაცხოვრებო – 415 195 და არასაყოფაცხოვრებო – 21 919). ამ კომპანიის არეალში თითქმის სრულად (97%) გამოიყენება ინდივიდუალური აღრიცხვა. ელექტროენერჯის პირდაპირი შესყიდვა მცირე ჰესებიდან საცალო მომხმარებლის მიერ არ ხორციელდება.

კომპანია „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ არეალში განთავსებულია 125 574 აბონენტი (მათ შორის საყოფაცხოვრებო – 117 000 და არასაყოფაცხოვრებო – 8 574). ამ კომპანიის არეალში კვლავ გამოიყენება საერთო მრიცხველები (3 669 მრიცხველი – 75 913 აბონენტი). 2009 წელს კომპანიამ წარმოადგინა მოსახლეობის 2014 წლამდე სრულად გამრიცხველიანების გეგმა. ელექტროენერჯის პირდაპირი შესყიდვა საცალო მომხმარებლის მიერ ხორციელდება შპს „ქინძმარაულიდან“ (ჩალაჰესი).

ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მესამე მხარის დაშვება, რომლის მიხედვითაც ელექტროენერჯის მყიდველს უფლება აქვს ელექტროენერჯია შეისყიდოს ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისაგან, თუ მისი წლიური მოხმარება 2006-2009 წლებში შეადგენს არანაკლებ 30 მლნ. კვტსთ-ს. 2008 წელს „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც 2017 წელს საქართველოში ელექტროენერჯის შესყიდვა ნებისმიერი გამყიდველისაგან შეეძლება ყველა მომხმარებელს. ასევე, ზემოაღნიშნული პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტროენერჯის მყიდველისათვის ელექტროენერჯის გატარება. იმავედროულად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის თანახმად, მცირე ჰიდროელექტროსადგურებს უფლება აქვთ ელექტროენერჯია მიყიდონ საცალო მომხმარებლებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოში ელექტროენერგეტიკული ბაზრის თავისუფლების (გახსნის) ხარისხზე.

ბაზრის თავისუფლების (გახსნის) ხარისხი 2009 წელს შეადგენდა 24,7%-ს, ნაცვლად 26,6%-ისა, რომელიც იყო 2008 წლის მაჩვენებელი.

როგორც ცნობილია, მარეგულირებელი ორგანოს ფუნქცია მნიშვნელოვნად იცვლება (იზრდება), როდესაც სექტორი ვერტიკალურად ინტეგრირებულიდან გადადის კონკურენტულ სტრუქტურაში. ბაზრის გახსნის ან ლიბერალიზაციის მთავარი ამოცანაა მომხმარებელს შესთავაზოს ენერგეტიკული მომსახურების მიმწოდებლის არჩევანის საშუალება. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მომხმარებელი გახდეს „თავისუფალი“ ანუ მას უნდა ჰქონდეს საშუალება შეცვალოს თავისი მომწოდებელი. მომხმარებლებებმა, მწარმოებლებმა და ქსელით მოსარგებლე მიმწოდებლებმა უნდა მიიღონ რეგულირებადი დაშვება ბუნებრივად მონოპოლიზირებულ სეგმენტებზე (გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე, მახალანსირებელ და დამატებით მომსახურებაზე). გენერაციასა და მომარაგებაში კონკურენციაში მყოფი კომპანიების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი, რომ ავიცილოთ თავიდან ისეთი ბაზრის ჩამოყალიბება, სადაც საბაზრო ძალაუფლება თავმოყრილ იქნება რამდენიმე მსხვილი არარეგულირებული კომპანიის ხელში.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო-ნორმატიული ნაკლოვანებაა ელექტროენერჯის მიწოდების საქმიანობის განაწილების (დისტრიბუციის) საქმიანობისაგან გაუმიჯნაობა, რაც ართულებს ბაზარზე ალტერნატიული მიმწოდებლების გაჩენას. კომისიის მიერ ბაზრის მონიტორინგის მიზანია ბაზრის დიზაინის ნაკლოვანებების იდენტიფიკაცია, საბაზრო ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობების, აგრეთვე ქსელის ოპერატორების მიერ დისკრიმინაციული მოქმედებების განხორციელების პოტენციალის დადგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრისათვის ე.წ. სტრუქტურული ინდექსები:

- ა) საბაზრო წილი (s_i) არის კომპანიის ძირითადი პროდუქციის (ელექტროენერჯის – სიმძლავრის) გაყიდვების მოცულობის (q_i) შეფარდება დარგის გაყიდვების მოცულობასთან (Q):

$$s_i = \frac{q_i}{Q}$$

- ბ) ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არის მთელი ბაზრის კონცენტრაციის საზომი და გამოითვლება კომპანიების (ბაზრის სუბიექტების) საბაზრო წილების (s_i) კვადრატების ჯამით:

$$HHI = \sum_{i=1}^n s_i^2$$

მისი მნიშვნელობა იცვლება 0-დან 10 000-მდე. მისი ძირითადი ღონეები შექმნილია:

- $HHI < 1000$ – არაკონცენტრირებული ბაზარი;
 $1001 < HHI < 1800$ – ზომიერად კონცენტრირებული ბაზარი;
 $HHI > 1801$ – მაღალკონცენტრირებული ბაზარი;

ჩვენი აზრით, HHI უნდა განისაზღვროს საქმიანობის სახეობის მიხედვით ანუ – წარმოება, გადაცემა, განაწილება.

- გ) ნარჩენი შეთავაზების ინდექსი (RSI) – ეს ინდექსი აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის კონკრეტული მსხვილი მწარმოებლის საწარმოო სიმძლავრის მნიშვნელობა მომხმარებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, სხვა მწარმოებელთა სიმძლავრეების გათვალისწინებით და გამოითვლება ფორმულით:

$$RSI = \frac{P_{\Sigma} - P_m}{P_{pik}} \times 100\%$$

P_{Σ} – ელექტროენერჯის მწარმოებელთა ჯამური დადგებული სიმძლავრეა;

P_m - ელექტროენერჯის უმსხვილესი მწარმოებლის მაქსიმალური მუშა სიმძლავრე საანგარიშო წელს;

P_{pik} - სისტემის პიკური დატვირთვა საანგარიშო წელს.

თუ RSI აღემატება 100%-ს, მაშინ i -ური მწარმოებლის სიმძლავრეები არ წარმოადგენს ძირითადს ელექტროენერჯიაზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (კლირინგული ფასის დადგენისათვის განმსაზღვრელს), ხოლო თუ RSI ნაკლებია 100%-ზე, მწარმოებელი წარმოადგენს მოთხოვნის ფასის განმსაზღვრელს.

საანგარიშო წელს საბაზრო წილები ელექტროენერჯის სამი უმსხვილესი მწარმოებლისათვის შეადგენდა: შპს „ენგურჰესისათვის“ – 35,4 %-ს; სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“ – 16,8%-ს; შპს „მტკვარი ენერჯეტიკასთვის“ – 8,4%-ს. იმავე კომპანიებისათვის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა შეადგინა 1605, ანუ გენერაციაში საქართველოს ენერგობაზარი შეიძლება შეგაფასოთ, როგორც ზომიერად კონცენტრირებული ბაზარი. რაც შეეხება ნარჩენი შეთავაზების ინდექსს, შპს „ენგურჰესისათვის“ იგი შეადგენს: $RSI=170\%$, ე.ი. მისი სიმძლავრეები არ წარმოადგენს ძირითადს ელექტროენერჯიაზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ანუ მისი საბაზრო ძალაუფლება არ არსებობს.

ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ფუნქციონირება მჭიდროდ უკავშირდება სექტორში არსებული დავების გადაწყვეტას. ამდენად, კომისია ვალდებულია მოაგვაროს ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოცემული პროცედურული წესების მიხედვით.

საანგარიშო წელს სადავო საკითხების სტატისტიკა ასეთი იყო:

შემოსული დავების რაოდენობა	დავების რაოდენობა მომხმარებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის	დავების რაოდენობა ბაზრის სუბიექტებს შორის	დარეგულირებული დავების რაოდენობა	განხილვის პროცესში მყოფი დავების რაოდენობა	გადაწყვეტილების საშუალებით დარეგულირებული დავების რაოდენობა	კონსესუსის საშუალებით დარეგულირებული დავების რაოდენობა
315	300	15	275	40	28	247

მომხმარებელთა განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები იმეორებენ იმავე სახის დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა წლების განმავლობაში, ესენია: საერთო მრიცხველებთან დაკავშირებული პრობლემები (მათ შორის, მრიცხველებისა და დენის ტრანსფორმატორების გაუმართაობა) და საერთო მრიცხველებით დარიცხული თანხების საფუძვლიანობა; ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობა, რის შედეგადაც მომხმარებლებს

უწყდებათ ელექტროენერჯის მიწოდება; რამდენიმე აბონენტის დავალიანების გამო ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა დანარჩენი აბონენტებისათვის; ელექტროენერჯის უკანონო მოხმარების, დათვალიერებისა და დარიცხვის აქტების შედგენისას დადგენილი წესების დარღვევა; მომხმარებელთა განცხადებების განხილვის ვადების უსაფუძვლოდ გაჭიანურება.


ბუნებრივი გაზის სექტორი

საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემას ექსპლუატაციას და ტექნიკურ მომსახურებას უწევს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. ამ სისტემით ხორციელდება საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით მომარაგება და სატრანზიტო მომსახურება სომხეთისათვის. გაზსადენების მთლიანი საპროექტო წარმადობა შეადგენს 55 მლნ.მ³-ს დღე-ღამეში, ანუ 20 მლრდ მ³-ს წელიწადში.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემა 1959 წლიდან ფუნქციონირებს. 1963 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ორჯონიკიძე-თბილისის 700 მმ-იანი გაზსადენი, რამაც საქართველოს შესაძლებლობა მისცა ბუნებრივი გაზით ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროდან - რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან მომარაგებულიყო.

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ნაჩვენებია სქემაზე (იხ. დანართი 16).

ქვემოთ გრაფიკულად ნაჩვენებია 2000-2009 წლებში საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები (მლნ მ³ წელიწადში).




მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციას ახორციელებენ ყაზბეგის, ქვეშეთის, საგურამოს და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალები. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემა 9 გაზსადენს მოიცავს. მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია, ყაზახ-საგურამო, ყარაღალ-თბილისი, ვლადიკავკაზ-თბილისი, საგურამო-ქუთაისი, ქუთაისი-სოხუმი, რუსთავი-თელავი-ჟინვალის, წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი და გომი-ხაშური-ბაკურიანი.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძეა 1929.29 კმ, მათ შორის მაგისტრალური გაზსადენებია 1551.1 კმ, განშტოებები – 365.32 კმ და ტექნოლოგიური შემკრავები – 12.87კმ.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის უსაფრთხო და უავარიო ექსპლუატაციის მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში მათზე ჩატარებულია საკმაოდ ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეიცვალა კოროზიული მონაკვეთები. გამოვლენილ და ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვის 65 შემთხვევა. ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები მაგისტრალური გაზსადენების თაროების დასაცავად. აშენდა ქოთელია-ასპინძა-ახალქალაქის მონაკვეთზე 48 კმ-იანი გაზსადენი. დამონტაჟდა 6 ცალი სახაზო ონკანი. ამავე გაზსადენიდან დამონტაჟდა განშტოებები და გაზგამანაწილებელი სადგურები ასპინძისა და ახალციხის გაზიფიკაციის მიზნით. სისტემაში შეიცვალა ნაკლებად საიმედო სახაზო ონკანები. მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა პროგრამა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ დაფინანსებით. ყაზახ-საგურამოს მაგისტრალზე შეიცვალა ახლით 3,6 კმ სიგრძის მონაკვეთი და გაზსადენებს შორის 3,5 კმ სიგრძის შემკრავი.

2009 წელს ქ. თბილისს მიეწოდა 380,6 მლნ. მ³ ბუნებრივი გაზი, მათ შორის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მომხმარებლებს – 379 მლნ მ³. დანაკარგებმა შეადგინა 105 მლნ მ³, ანუ 27,6%, აქედან ნორმატიული დანაკარგია 9%, ზენორმატიული დანაკარგი – 29,7%.



20
 - თბილისისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზი;
 - ბუნებრივი გაზის დანაკარგი.

გაზსადგამის სასაქონლო-საქონლო დასაღვარი 1277, აუქლსი, გასის სასაქონლო-საქონლო სადგურია 9, გაზის მარეგულირებელი პუნქტი – 449.

ქ. თბილისში ბუნებრივი გაზის 344 ათასი მომხმარებელია, რომელთაგან შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ აბონენტია 320722, მათ შორის საყოფაცხოვრებო მომხმარებელია 311102.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ლიცენზიატებს შორის, ასევე ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2009 წელს სადავო საკითხების სტატისტიკა ასეთი იყო:

შემოსული დავების რაოდენობა	დავების რაოდენობა მომხმარებლებ- სა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის	დავების რაოდენობა ლიცენზიატებს შორის	დარეგული- რებული დავების რაოდენობა	განხილვის პროცესში მყოფი დავების რაოდენობა	გადაწყვეტი- ლებების საშუალებით დარეგული- რებული დავების რაოდენობა	კონსესუსის საშუალებით დარეგული- რებული დავების რაოდენობა
131	127	4	119	12	17	102

კომისიაში შემოსული მრავალი საჩივარი ეხებოდა მომხმარებლებისათვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის დარიცხვას ტემპერატურული კორექციის კოეფიციენტის გამოყენებით. ამ საკითხთან დაკავშირებით 2009 წლის 15 ოქტომბერს კომისიამ მიიღო №17/1 გადაწყვეტილება „ბუნებრივი გაზის სექტორში ტემპერატურული კორექციის კოეფიციენტით მოხმარებული ბუნებრივი გაზის დარიცხვასთან დაკავშირებით“.

2009 წელს ადგილი ჰქონდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას. მის მიერ არ ხდებოდა შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისაგან“ (წერილი №1603-1-03/1, 16.03.2009წ.) შესყიდული ბუნებრივი გაზის ღირებულების დროული და სრულად გადახდა, რაც, თავის მხრივ, რეალურ საშიშროებას უქმნიდა მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით უწყვეტ მომარაგებას. აღსანიშნავია, რომ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ ადრეც დაარღვია სალიცენზიო პირობების მოთხოვნები, რის გამოც კომისიის გადაწყვეტილებით დაჯარიმებულ იქნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის ბუნებრივი გაზით სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომისიამ დასვა საკითხი სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ, რომელიც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელითა და ხარჯით უზრუნველყოფდა სალიცენზიო პირობების შესრულებას (კომისიის გადაწყვეტილებები №3/1, 16.03.2009წ., №7/1, 07.05.2009წ., №9/1, 04.06.2009წ. და №10/1, 10.06.2009წ.).

გასულ წელს ასევე ადგილი ჰქონდა შპს „იბერია-2004“-ის მხრიდან სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას. კერძოდ, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისგან“ შესყიდული ბუნებრივი გაზის ღირებულების გადაუხდელობის გამო კომპანიას დაუგროვდა დავალიანება (შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წერილი №14-08-02/3337, 23.06.2009წ.). დავალიანების გამო შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ გაზმომარაგება შეუწყვიტა შპს „იბერია-2004“-ს. ისანი-სამგორის რაიონის სოფელ ფონიჭალას მოსახლეობის ბუნებრივი გაზით სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №11/1 გადაწყვეტილებით შპს „იბერია-2004“-ში დაინიშნა სპეციალური მმართველი.

წყალმომარაგების სისტემა

საქართველოში წყალსადენების ტექნიკური მდგომარეობა არასახარბიელოა. ეს ეხება როგორც სასმელი წყლის რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

დამოკიდებულება წყლის რესურსების გამოყენებასთან ანარეკლია უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებული იმ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ტექნიკური პრობლემებისა, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ გადაწყვეტას. წყლის რესურსების დაცვის, მათი გონივრული, რაციონალური გამოყენების საკითხების თანმიმდევრულად შესწავლა-მოწესრიგება ქვეყნის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს.

საქართველოს წყალმომხმარებელია: მოსახლეობა, მრეწველობა, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წყლით მომარაგება ხდება სათავე ნაგებობებიდან და წყალგადამამუშავებელი სადგურებიდან. აღნიშნული ნაგებობების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკოლოგიური მახასიათებლები უნდა პასუხობდეს თანამედროვე, სასმელი წყლის ხარისხისადმი არსებული მაჩვენებლების მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული წყაროების დაბინძურებამ შესაძლოა გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები — ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მოსახლეობის ინფექციური დაავადებებით დასნეულების საშიშროება.

დღესდღეობით საშიშროება რეალურია, რადგან საქართველოში არსებული წყალმომარაგების სისტემები ამორტიზებულია, ხოლო კოლექტორების უმეტესობა გამოსულია მწყობრიდან და არ ექვემდებარება რეკონსტრუქციარეაბილიტაციას. ზემოთ აღნიშნულის გამო, მოხმარებული სითხე ჩაედინება პირდაპირ წყალსატევებში. არის შემთხვევები, როცა საკანალიზაციო კოლექტორიდან ფეკალური წყლები ზედაპირულად მიედინება, რის გამოც ტერიტორია იტბორება. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს წყალაღების წყაროს დაბინძურება.

პირველ რიგში, საჭიროა შესწავლილ იქნეს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საკანალიზაციო ქსელების გამყვანი მთავარი კოლექტორების, მათზე განთავსებული სათვალთვალო ჭებისა და სხვა ნაგებობების არსებული მდგომარეობა, შესაძლებლობის შემთხვევაში მათი სარეკონსტრუქციოსარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

საბედნიეროდ, საქართველოში დასახლებული პუნქტების უმრავლესობა სასმელი წყლის გრუნტის წყლებით მარაგდება, რომელიც სპეციალური გამწმენდი ნაგებობების მოწყობას არ მოითხოვს, მაგრამ არის ქალაქების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც სასმელად ზედაპირული წყალი მიეწოდება. ამ შემთხვევაში აუცილებელია წყლის გაფილტვრა ძვირადღირებულ, სპეციალურ გამწმენდ ნაგებობებში. მცირე გამონაკლისის გარდა ასეთი ნაგებობები არ ან არასრულად ფუნქციონირებენ ფინანსების ნაკლებობით გამოწვეული არასრულყოფილი ექსპლოატაციის გამო.

როგორც გრუნტის, ასევე ზედაპირულ წყალს, გაწმენდის შემდეგ აუცილებლად სჭირდება გაუვნებლობა დაქლორვის გზით. მიუხედავად საქლორატორების არსებობისა, დაქლორვა ხდება პერიოდულად, რაც დაუშვებელია.

წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემებს შორის ყველაზე საყურადღებოა წყალდენებსა და წყალსადენის ქსელებში მილსადენების სავალალო მდგომარეობა. როგორც წესი, მილსადენები დიდი ხნის ჩალაგებული და ამორტიზებულია, რაც დიდ ჟონვებს იწვევს. წყალი მომხმარებელს, უმეტეს შემთხვევაში, მიეწოდება გრაფიკით. ამის გამო, როცა მილში წყალია, მილიდან

იქონება, ხოლო როცა ცარიელია, პირიქით, გრუნტში არსებული წყალი შედის მილში. ეს განსაკუთრებით საშიშია, თუ გრუნტში წყალმომარაგების ქსელთან ახლოს არის კანალიზაციის კოლექტორიდან გაჟონილი სითხე. ასეთ დროს გარდაუვალია მოსახლეობაში მასიური ინფექციური დაავადებების გაჩენა.

სასმელი წყლის დეფიციტი დაკავშირებულია წყლის არარაციონალურ ხარჯვასა და დანაკარგებისა და ჟონვების მნიშვნელოვან რაოდენობასთან, რომლებიც, თავის მხრივ, გამოწვეულია სისტემებში არსებული ქსელებისა და მოწყობილობების მაღალი ხარისხის ცვეთადობით.

დანაკარგების ნორმატიულ სიდიდეში იგულისხმება ჟონვები და არამწარმოებლური ხარჯები, რომელთა აღკვეთა შესაძლებელია.

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ახალი მომხმარებლის ქსელში ჩართვის საფასურის დადგენა. ბუნებრივია, ახალი ობიექტების მიერთებამ არ უნდა გამოიწვიოს არსებული ქუჩის წყალსადენის მაგისტრალებისა და საკანალიზაციო კოლექტორების გადატვირთვა. ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს მიდგომები სისტემების გაფართოებისა და გაძლიერებისათვის საჭირო (ფინანსური, მატერიალური და სამუშაო ძალთა) სამუშაოთა უზრუნველყოფისათვის.

ამ თვალსაზრისით გონივრულია ახალი ობიექტების მიერთებისათვის საფასურის დადგენა, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება მიერთებისათვის საჭირო ყველა სამუშაო, მათ შორის, საპროექტო და სამშენებლო. ამავე დროს, იგივე მიდგომა უნდა ვრცელდებოდეს ძველ სარეკონსტრუქციო ქსელზე, თუ მასზე არსებული ობიექტებიც ფართოვდება.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს საინჟინრო აკადემიასთან. კომისიის დაკვეთით გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს საინჟინრო აკადემიასთან „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში ნორმატიული დანაკარგების განსაზღვრის მეთოდოლოგია და ახალ მიერთებებზე ერთჯერადი მოსაკრებლის სიდიდის დადგენის წესის“ თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ დასახლებული პუნქტების გარკვეულ ნაწილს წყალი მიეწოდება სატუმბო სადგურების საშუალებით, რაც ზოგჯერ ძალიან დიდი რაოდენობის ელექტროენერჯის ხარჯვასთანაა დაკავშირებული. ასეთ წყალსადენებს ექმნებათ დამატებითი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ელექტროენერჯის დახარჯული ენერჯის საფასურის გადახდის აუცილებლობით.

ასევე სავალალო მდგომარეობაა წყალარინების სისტემაშიც. საკანალიზაციო კოლექტორები ამორტიზებულია. ზოგ რაიონებში საერთოდ მოშლილია წყალარინების სისტემა და ხდება ფეკალური მასის ზედაპირზე ამოდინება, აგრეთვე არ ფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობები და ფეკალური მასა ჩაედინება პირდაპირ წყალსატევებში, რაც ყოველად დაუშვებელია.

ჩამოთვლილი ტექნიკური პრობლემების მოგვარება წყალსადენის საექსპლოატაციო სამსახურის მიერ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ დანახარჯებს, რაც, სამწუხაროდ, მათ არ გააჩნიათ. ამის ძირითადი მიზეზია მომხმარებლისგან წყლის საფასურის ამოღების ძალიან დაბალი მაჩვენებელი (მეტნაკლებად, თბილისის გარდა).

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ორივე მხარეს, მიმწოდებელსა და მომხმარებელსაც, გააჩნიათ გარკვეული პრობლემები. მომხმარებელი არ ან ვერ იხდის საფასურს, საექსპლოატაციო სამსახურს კი არ გააჩნია ფინანსები სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავეა ისეთ დასახლებულ პუნქტებში, სადაც საჭიროა გამწმენდი ნაგებობებისა და სატუმბო სადგურის ფუნქციონირება, რადგან კუბ.მ წყლის ღირებულება ამ შემთხვევაში არის მაღალი.

საქართველოში წყალმომარაგებისა და წყალარინების სამსახურები, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, გაერთიანებულია. მათი მომსახურების საფასური გამოითვლება ცალ-ცალკე, მაგრამ ტარიფში აისახება ერთიანად, ანუ კუბ.მ სასმელი წყლის ტარიფი გულისხმობს კუბ.მ კანალიზაციის ჩამდინარე სითხის ღირებულებასაც.

საქართველოს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ტარიფი ორგანო – წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის. რაიონებში, სადაც წარმოება-დაწესებულებები მცირეა, წყალსადენის სამსახური დოტაციურია.

წყალმომარაგების სისტემაში მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

- ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე შეძლებისდაგვარად მოხდეს მათი სრული რეაბილიტაცია, რომლის დროსაც მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული წყალმომარაგებისათვის გრუნტის წყლიდან თვითღენით სისტემებზე გადასვლა, თუნდაც ამისთვის წყლის შედარებით შორიდან წამოყვანა გახდეს საჭირო;

- ამორტიზებული მილსადენების გამოცვლა გარე ქსელებში წყლის ჟონვებისა და დანაკარგების შესამცირებლად;

- წყლის ხარჯის ნორმების ფაქტობრივი და ნორმატიული სიდიდის დადგენა;

- წყალმომარაგების სისტემაში ნორმატიული დანაკარგების დადგენა;

- მომხმარებელთა გამრიცხველიანების პრობლემის გადაჭრა.

წყალმომარაგების მასიურად დაყენების შემთხვევაში წყლის დამატებაც არ გახდება საჭირო. საგრძნობ ეფექტს მოგვცემს თითოეულ კერძო სახლზე ინდივიდუალური წყალმომარაგების დაყენება. ასევე სავალდებულო უნდა იყოს თითოეულ ახალაშენებულ ბინაში წყალმომარაგების დაყენება.

საქართველოში ბოლო დრომდე არ არსებობდა ორგანო, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია წყალსადენის ტექნიკური და საექსპლოატაციო სამსახურების ფინანსურ-ეკონომიკური და მატერიალური მდგომარეობის შესახებ. მას შემდეგ, რაც წყალმომარაგების საწარმოები მოექცნენ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში, კომისიის მოთხოვნის საფუძველზე საწარმოებიდან მიღებულ იქნა მონაცემები წყალსადენების ფინანსური, ტექნიკური და მატერიალური მდგომარეობის შესახებ

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე კომისიაში შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ქვეყანაში არსებულ წყლის საწარმოთა შესახებ და აადვილებს მონიტორინგსა და სამომავლო პროექტების დაგეგმვას.

ამ მიმართულებით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შემუშავებულ იქნა ცხრილები „სასმელი წყლით წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში არსებული მდგომარეობისა და მისი რეაბილიტაცია-განვითარების შესახებ ინფორმაციისა“ და „წყალმომარაგების საწარმოების სამეურნეო საქმიანობის“ თაობაზე;

- კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები: 1. „სასმელი წყლის მიმწოდებლის საქმიანობის მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმები“ (გადაწყვეტილება №15/21); 2. „წყალმომარაგების სისტემის კვარტალური ანგარიშგების ფორმები”

საანგარიშო წელს კომისიაში შემოვიდა სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე წერილი (ძირითადად საინფორმაციო ხასიათის), რომლებსაც გაეგზავნათ

სათანადო პასუხები. აქედან 9 იყო სადავო საკითხი, უმრავლესობა საკითხებისა გადაწყდა მომხმარებელთა სასარგებლოდ.

საანგარიშო წელს სადავო საკითხების სტატისტიკა ასეთი იყო:


შემოსული დაგების რაოდენობა	დაგების რაოდენობა მომხმარებლებსა და წყალმომარაგების საწარმოებს შორის	მომხმარებელთა სასარგებლოდ გადაწყვეტილი დაგები	წყალმომარაგების საწარმოების სასარგებლოდ გადაწყვეტილი დაგები	განხილვის პროცესში მყოფი დაგების რაოდენობა
9	9	6	1	2

მომხმარებელთა განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაგები ძირითადად დაკავშირებულია სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობის გაცემასთან და ასევე აბონენტებზე ზედმეტად დარიცხულ თანხებთან.

საანგარიშგებო წელს საქართველოში რეგისტრირებული წყალმომარაგების 80 საწარმოდან, ნაწილი გაერთიანდა შ.პ.ს. „დასავლეთის წყალში“ (იხ. დანართი 17), ნაწილი – შ.პ.ს. „აღმოსავლეთის წყალში“ (იხ. დანართი 18), ხოლო ნაწილი დარჩა როგორც დამოუკიდებელი წყალმომარაგების საწარმო (იხ. დანართი 19).

2009 წლის მონაცემებით, ზემოაღნიშნული საწარმოების მიერ მოპოვებული ბუნებრივი სასმელი წლის მოცულობა შეადგენს 697 132.4 მ³ (იხ. დანართი 20).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის აპარატის სტრუქტურა



2009 წელს მიღებული დადგენილებების
ნუსხა

ნომერი №	თარიღი	დადგენილებების დასახელება
№1	05.02.09	„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ორთაჭალჰესი-2007)
№2	19.02.09	„საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№3	01.04.09	„ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ
№4	01.04.09	„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
№5	23.04.09	„საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
№6	07.05.09	„ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1998 წლის 1 ივლისის №3 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
№7	07.05.09	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (ბორჩალო+)
№8	07.05.09	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (ვისოლი)
№9	04.06.09	„ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ
№10	10.06.09	„საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

№11	12.06.09	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ (ყაზბეგიაზი, საგარეჯოგაზი, ლ-ნ)
ზემოაღნიშნული საფუძვლით ელექტროენერჯის შეწყვეტის შემთხვევების გამოსარიცხად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების გარდა, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ აისახა ნორმა, რომელიც ლიცენზიატს უკრძალავს მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას, თუ ამ დავალიანების წარმოშობიდან გაშვებულია მოთხოვნის

ხანდაზმულობის ვადა. ამასთანავე, დაუშვებლად არის მიჩნეული ელექტროენერჯის შეწყვეტა ან უზრუნველყოფის რაიმე სხვა მექანიზმის გამოყენება აღნიშნული დავალიანების ამოღების მიზნით.

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებში” ასეთი ნორმის ასახვის მიუხედავად, სს „თელასის” წარმომადგენლები საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ერთადერთი კანონიერი საშუალების - სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მაგიერ მომხმარებელს უწყვეტენ ელექტროენერჯის მიწოდებას და მიწოდების აღდგენა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი იძულებით, მისთვის გამოუვალად მდგომარეობიდან გამომდინარე, გააფორმებს შეთანხმებას ვალის გადანაწილების თაობაზე და დაფარავს დავალიანების ნაწილს, რაც წარმოადგენს ხანდაზმული ვალის აღიარებას.

ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიებისაგან მსგავსი ქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უხეშად არღვევს მომხმარებელთა უფლებებს. ამასთანავე, აღნიშნული წარმოადგენს გამანაწილებელი კომპანიების მხრიდან მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რადგან, მომხმარებლებს არ გააჩნიათ ალტერნატივა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდნენ სხვა კომპანიებთან.

სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი შემთხვევების მიმართ არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა. უფრო მეტიც, არსებობს საპირისპირო ფაქტებიც სასამართლო განხილვებიდან, როდესაც მოსამართლე, იყენებს რა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, მორიგების მიზნით ახდენს ზეწოლას მომხმარებელზე და მომხმარებელი იძულებულია, დავალიანების გარკვეული ნაწილის ჩამოკლების სანაცვლოდ აღიაროს დარჩენილი თანხა, თუმცა, საქმეში წარდგენილი მასალებით ერთმნიშვნელოვნად მტკიცდებოდა, რომ მომხმარებლის დავალიანება სს „თელასის” მიმართ იყო ხანდაზმული და ამ ხანდაზმული დავალიანების გამო მომხმარებელს ჰქონდა შეწყვეტილი ელექტროენერჯის მიწოდება.

ზემოაღნიშნულ პრობლემას ასევე ამძიმებს ის გარემოება, რომ ვინაიდან ხანდაზმულობის გამო დავალიანების ჩამოწერის (გაუქმების) სასარჩელო განცხადებების უმრავლესობა 1000 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, იმ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, რომლითაც მომხმარებელს უარი ეთქვა დავალიანების გაუქმებაზე, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია და შესაბამისად, მომხმარებელი დგება მხოლოდ ერთი ალტერნატივის წინაშე - გადაიხადოს ხანდაზმული დავალიანება.

ანალოგიური კანონსაწინააღმდეგო ქმედებები დაფიქსირდა ახალი აბონენტების რეგისტრაციის დროსაც. სს „თელასის” ხელმძღვანელობამ აბონენტად რეგისტრაციის მსურველებს წაუყენა მოთხოვნა, რომ მათ უნდა ეღიარებინათ გასულ წლებში საცხოვრებელი ფართის ძველ მესაკუთრეებზე (რიგ შემთხვევებში ძველ მესაკუთრეს წარმოადგენდა საწარმოები და სახელმწიფო დაწესებულებები) არსებული დავალიანება. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამასახურს მიაჩნია, რომ ახალ აბონენტად რეგისტრაციისათვის განცხადების წარდგენა წარმოადგენს ახალ სახელშეკრულებო ურთიერთობას მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიას შორის და მას არაფერი აქვს საერთო უძრავი ქონების ძველი მესაკუთრის სახელშეკრულებო ვალდებულებებთან.

ბ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

საანგარიშო პერიოდში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში წარმოდგენილი განცხადებები ძირითადად შეეხებოდა:

- ელექტროენერჯის აღრიცხვის გამართული ხელსაწყო არმქონე (უმრიცხველო ან ღროებითი მრიცხველით მოსარგებლე) მომხმარებელთა პრობლემებს;
- კონკრეტული უბნებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების მთლიანად შეწყვეტებს საერთო მრიცხველზე მიერთებული ზოგიერთი აბონენტის დავალიანების გამო, ე.წ. „ჯგუფურ გათიშვებს“;
- გამართული აღრიცხვის კვანძის მქონე მომხმარებლისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვას საერთო მრიცხველის მიხედვით;
- ეგრეთ წოდებული „მიმართულების მრიცხველი“-ს მონტაჟის შედეგად, ერთ საერთო მრიცხველზე მიერთებულ აბონენტთა (70 მომხმარებლის) მაქსიმალური რაოდენობის გადამეტებას;
- გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობას;
- დავალიანების გადანაწილებას.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 2009 წლის განმავლობაში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ შემოვიდა მომხმარებელთა 197 განცხადება. საკმაოდ ხშირი იყო სამსახურში განხორციელებული სატელეფონო ზარები.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სალიცენზიო არეალისა და მომხმარებელთა რაოდენობის, აგრეთვე პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გაშუქებულ ინფორმაციათა გათვალისწინებით, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური ასკვნის, რომ სამსახურში შემოსული საჩივრების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება იმ დარღვევების რაოდენობას და მომხმარებელთა პრეტენზიებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2009 წლის განმავლობაში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ აბონენტთა მომსახურების სტანდარტების შექმნას და მომხმარებელთა მომსახურების ცენტრების გახსნას უნდა გამოეწვია მომხმარებელთა უფლებების დარღვევების მკვეთრად შემცირება და მომხმარებლების პრეტენზიების ადგილზევე გადაწყვეტა მოკლე პერიოდში, თუმცა, როგორც არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, სიტუაცია კარდინალურად არ შეცვლილა და როგორც მომხმარებელთა განცხადებების განხილვა, ასევე მასზე პასუხების გაცემა გრძელდება დიდი ხნით. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-3 მუხლით დადგენილი ვადების დარღვევის გამო დაჯარიმების პროცედურების ამოქმდება, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გამოიწვიოს მომხმარებელთა განცხადებების განხილვის დაჩქარება.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში და დასახლებულ პუნქტში მომხმარებლების ელექტროენერჯით მომარაგებისას დღეისათვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს გამრიცხველიანების - გამართული ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის მოწყობის პრობლემა. ქალაქებსა და რაიონებში სადაც ინდივიდუალური გამრიცხველიანება უკვე

დასრულდა, ელექტროენერჯის მიწოდება და მოხმარება სტაბილურია და მომხმარებელთა უფლებები აღნიშნული თვალსაზრისით დაცულია. რაც შეეხება უმრიცხველო მომხმარებლებს, მათი უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა არაერთი დროებითი ნორმატიული აქტი და ღონისძიება, თუმცა, გასულ წლებში არსებულ პრობლემებს ისევ ჰქონდა ადგილი მთელი 2009 წლის განმავლობაში.

2007 წლის 30 მაისს საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №9 დადგენილებით დამტკიცდა „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი.“ ამ წესის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანია უფლებამოსილია საერთო მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის რაოდენობა თანაბრად გადაანაწილოს მასზე მიერთებულ უმრიცხველო მომხმარებლებზე, თუ ასეთი მომხმარებლები რაიმე განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდებიან. დადგენილებით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არსებული სახით ითვალისწინებდა და მის გამოცემას საფუძვლად დაედო სს „ენერჯო-პროს“ და სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“ ასევე, შპს „აჭარის ენერჯოკომპანიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ.“

მიღებული დადგენილებით ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ მათი განაწილების არეალში შემავალი მოსახლეობის ეტაპობრივი გამრიცხველიანება კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკის და დადგენილი ვადების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები ხშირად საკუთარი ხარჯებით ყიდულობენ მრიცხველებს და მიმართავენ მომსახურების ცენტრებს განახორციელონ მრიცხველების მონტაჟი და მისი გამართულად ცნობა, რაზეც კომპანიის წარმომადგენლები ან არ ახდენენ რეაგირებას, ან სიტყვირად გაურკვეველ და უსაფუძვლო მოთხოვნებს უყენებენ მომხმარებლებს (მაგალითად: აბონენტისათვის საჯარო რეესტრის ამონაწერის წარდგენის მოთხოვნა, რაც საჭიროა მხოლოდ ახალ აბონენტად რეგისტრაციისათვის და მრიცხველის გამართულად ცნობისათვის მისი მოთხოვნა ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული).

2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილების მე-4 პუნქტით განსაზღვრულია მრიცხველის გამართულად ცნობის წინაპირობები, მაგრამ მსგავსი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულების შესახებ მითითებული არ არის. მრიცხველის გამართულად ცნობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება ეკისრება კომპანიას და ამისათვის მას განსაზღვრული აქვს ერთ თვიანი ვადა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს წერილობით არ ეცნობება კომპანიის დასაბუთებული უარი მრიცხველის გაუმართაობის შესახებ, მომხმარებლის მრიცხველი უნდა ჩაითვალოს გამართულად, რასაც მუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, ხშირად უგულვებელყოფენ ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიის წარმომადგენლები.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის აზრით, კომისია შეზღუდული არ არის „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული

ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებით წესში” შეიტანოს ისეთი სახის დამატებები, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოვა არსებულ რედაქციასთან, თუმცა, შეავსებს მითითებულ წესებით დიად დატოვებულ ბევრ საკითხს.

„ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის” მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საერთო მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის საფასური სრულად და დროულად არ იქნება გადახდილი, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს საერთო მრიცხველზე მიერთებული ყველა ისეთი მომხმარებლის ინდივიდუალური გამორთვა, რომელსაც აქვს დავალიანება. დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, კომპანიას მხოლოდ მას შემდეგ ენიჭება უფლება გათიშოს მომხმარებელთა უბანი მთლიანად, როდესაც აღმოჩნდება, რომ ქსელიდან დავალიანების გამო ინდივიდუალურად გამორთული საერთო მოხმარების მრიცხველზე მიერთებული მომხმარებლების 50%-ზე მეტი ახორციელებს ელექტროენერჯის მოხმარებას აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც უნდა დასტურდებოდეს კომპანიის მიერ გაფორმებული სათანადო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტებით.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული განცხადებები და მოსახლეობის სატელეფონო ზარები მოწმობს, რომ კონკრეტული მომხმარებლებისაგან ან მომხმარებელთა ჯგუფისაგან საერთო მრიცხველების ჩვენების მიხედვით დარიცხული ელექტროენერჯის გადასახადის გადაუხდელობის გამო, სს „ენერჯო-პრო ჯორჯია” მთლიანად წყვეტს ელექტროენერჯის მიწოდებას მოცემულ უბანზე, რითაც უხეშად არღვევს იმ მომხმარებელთა უფლებებს, რომლებმაც გადაიხადეს ელექტროენერჯის გადასახადი. მსგავსი გამორთვები ინტენსიურად ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და სამეგრელოში, ასევე აჭარის სხვადასხვა სოფლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით მომხმარებლებს ხშირად უწევთ სოლიდური თანხების გადახდა (დაფიქსირდა შემთხვევები როცა ერთ თვეში აბონენტს გადასახდელად დაეკისრა 500 ლარზე მეტი). ასეთი გადასახადის გადახდას ვერ ახერხებს მომხმარებელთა დიდი რაოდენობა და ისინი კოლექტიურად მომართავენ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს საჩივრებით, სადაც აღნიშნავენ, რომ მათთვის სრულიად გაურკვეველია ასეთი დიდი გადასახადების დარიცხვის საფუძველი, ან მიუთითებენ, რომ გადასახადის ასეთი დიდი ოდენობა განპირობებულია გამანაწილებელ ქსელზე ელექტროენერჯის დატაცებით, რაზეც კომპანიის წარმომადგენლები არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას.

ელექტროენერჯის დატაცების ფაქტის აღმოჩენა წარმოადგენს ელექტროენერჯის გამანაწილებელი ყველა საწარმოს ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, თუ რა წესით ურთიერთობს იგი თავის მომხმარებელთან. კომპანია ვალდებულია დატაცების ფაქტის აღმოჩენისათვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება და დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი. საერთო მრიცხველების ჩვენების მიხედვით ელექტროენერჯის გადასახადის გადახდა ისედაც მძიმე ტვირთად აწვება მომხმარებლებს და მომხმარებლების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ კომპანიის წარმომადგენლები უყურადღებოდ ეკიდებიან კანონის მოთხოვნებს. პირიქით, ასეთი სამართლებრივი ურთიერთობისას ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს დაცული კანონის მოთხოვნები და კომპანიის წარმომადგენლები

უნდა ცდილობდნენ, რომ ხელი მაქსიმალურად შეუწყონ მომხმარებლებს.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის აზრით, დავალიანების გამო ინდივიდუალურად გათიშული საერთო მოხმარების მრიცხველზე მიერთებული მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელთან თვითნებური მიერთება წარმოადგენს აღრიცხვის წესების უხეშ დარღვევას და შესაბამისად, ყოველ ასეთ ფაქტზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უფლებამოსილი პირების მიერ უნდა შედგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტი. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ კომპანია ვალდებული იყოს გამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ პირს, ვის მიმართაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტი, დადგმული სიმძლავრის ან მიერთების გამოვლენის მომენტში გაზომილი სიმძლავრის მიხედვით დაარიცხოს ამ პირს უკანონოდ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა და შესაბამისი ოდენობითვე მოახდინოს საერთო მრიცხველის ჩვენების კორექტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესში“ განხორციელდეს ისეთი სახის დამატებების შეტანა, რაც ხაზს გაუსვამდა გამანაწილებელი ქსელთან უკანონო მიერთებას და აღრიცხვის წესების დარღვევას, ამასთანავე, ცალკე გამოკვეთდა ელექტროენერჯის უკანონო მოხმარების სამართლებრივ შედეგებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ის მომხმარებლები ვისაც ელექტროენერჯია მიეწოდებათ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქსელებიდან საერთო მრიცხველის მეშვეობით, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის აზრით, გამოთქვამენ სამართლიან პრეტენზიას გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ ახორციელებს მათი გამანაწილებელი ქსელის სათანადო მომსახურებას და დიდი დაგვიანებით რეაგირებს ავარიულ დაზიანებებზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს ელექტროენერჯის გადადინებას (დამიწებას) და შესაბამისად, ბუნებრივ კარგვას. ხშირად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ ითვალისწინებს აღნიშნულს და ასეთი სახის დანაკარგს არ აკლებს საერთო მრიცხველის ჩვენებას და მას აკისრებს მომხმარებელს.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ ავარიული დაზიანებით გამოწვეული დანაკარგი წარმოადგენს ისეთ სახის დანაკარგს, რომელიც გათვალისწინებულია ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფში და შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უფლება არ აქვს დანაკარგის ანაზღაურება მოსთხოვოს საერთო მრიცხველზე მიერთებულ მომხმარებელთა ჯგუფს, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის დანაკარგი ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმის გამო, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ავარიული დაზიანებებზე რეაგირებს დიდი ხნის დაგვიანებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრობლემატურად რჩება კომპანიისაგან საერთო მრიცხველზე მიერთებულ მომხმარებელთა რაოდენობის მაქსიმალური რაოდენობის დარღვევა. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლები თვლიან, რომ „მიმართულების მრიცხველის“ მოწყობით ისინი ამცირებენ მომხმარებელთა რაოდენობას 70-მდე ან უფრო ნაკლებ ოდენობამდე.

საერთო მრიცხველის განშტოების მოწყობა ზოგადად არ ეწინააღმდეგება „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სემეკის 2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილებით დამტკიცებულ დროებით წესს, მაგრამ, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს

მიაჩნია, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ზემოაღნიშნული მოსაზრება მცდარია და ერთ მრიცხველზე მიერთებული მომხმარებლების საერთო რაოდენობა უნდა დაითვალოს ცალკეული განშტოებებზე მიერთებული მომხმარებელთა რაოდენობის გათვალისწინებით და თუ მათი ჯამი აღემატება 70-ს, სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ საერთო მრიცხველის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, საკუთარი ხარჯებით უნდა მოაწყოს დამოუკიდებელი ხაზი განცალკევებული საერთო მრიცხველით.

მომხმარებლებს ასევე, მუდმივად ექმნებათ პრობლემები მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით. კერძოდ, მომხმარებელთა გარკვეული კატეგორიისათვის ტერიტორიულად მოსახერხებელია, რომ ელექტროენერჯის საფასურის გადახდა განახორციელოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უახლოეს სერვის ცენტრში, მაგრამ, სხვა რაიონების სერვის ცენტრები უარს აცხადებენ გადასახადის მიღებაზე და მომხმარებელს თანხის გადახდისათვის უწევს საკმაოდ დიდი მანძილის გავლა.

აღნიშნული პრობლემა შეიძლება არსებობდეს ელექტროენერჯის გამანაწილებელ სხვა საწარმოებშიც, ამიტომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური თვლის, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესებში“ დამატების შეტანის გზით, რომლის თანახმადაც, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატს უნდა დაევალოს, უზრუნველყოს მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ხელმისაწვდომობა არანაკლებ სხვადასხვა 3 საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

გ) სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ქუთაისში გადასვლის შემდეგ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საქმიანობასა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებების შემოსვლა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მომხმარებლები დღეისათვის უკავშირდებიან სხვა საშუალებით - ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით. მომხმარებელთა უფლებებზე ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ასევე ადგილობრივი და ცენტრალური პრესა, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციები.

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საქმიანობაში გამოვლენილ პრობლემებს მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებით თითქმის აქვთ იგივე სტრუქტურა, როგორც ეს არის სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ დაკავშირებით. ეს პრობლემებია:

- პრეტენზიები საერთო მრიცხველის ჩვენებებთან დაკავშირებით;
- ინდივიდუალური აღრიცხვის გამართული ხელსაწყოს მქონე აბონენტებისათვის დამატებითი თანხების დარიცხვა;
- ზოგადად, მომხმარებელთა განცხადებების განხილვის ვადების დარღვევა;
- მომხმარებელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა (მათ შორის მრიცხველის შემოწმების შესახებ მოთხოვნის უგულვებელყოფა).

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ 2007 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებით დამტკიცდა „სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“

საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი” და ამავე დადგენილებით მისი მოქმედების ვადა ცალკეული უმრიცხველო მომხმარებლებისათვის განისაზღვრა შემდეგნაირად: ახმეტის, ყვარლის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონებში – 2007 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა რაიონებში - 2008 წლის პირველ ივლისამდე.

სამწუხაროდ, სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის” მიერ მითითებულ ვადებში მომხმარებელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ დამთავრდა, რის გამოც 2008 წლის 3 ოქტომბერს მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის” საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ”, რომლის მოქმედებაც განისაზღვრა 2009 წლის პირველ ივნისამდე, თუმცა, იგი არ გავრცელდა თელავში, გურჯაანში, საგარეჯოში, ახმეტაში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ყვარელში და დედოფლისწყაროში მცხოვრებ მომხმარებლებზე, აგრეთვე, სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის” სოფლად მცხოვრებ იმ მომხმარებელზე, რომელთაც გააჩნიათ გამართული ინდივიდუალური აღრიცხვის ხელსაწყო.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში არსებული ინფორმაციის თანახმად, სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია” მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლები მიმართავდნენ მოთხოვნით, შეემოწმებინათ მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, დადგენილ ვადაში შემოწმება არ ხორციელდებოდა და მომხმარებლები არ გადაყავდათ ინდივიდუალურ დარიცხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ, ასეთ ვალდებულებას ითვალისწინებდა როგორც სემეკის 2007 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებით დამტკიცებული წესი, ასევე 2008 წლის 3 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებული წესი. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2009 წლის 15 ოქტომბერს მიღებული იქნა ახალი დადგენილება, რომლითაც გადაწყდა, რომ სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის” მომხმარებლების სრული ინდივიდუალური გამრიცხველიანება უნდა დასრულდეს 2014 წელს. დადგენილებით სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციას” დაევალა კომისიას წარმოუდგინოს გამრიცხველიანების ყოველწლიური ანგარიში.

2. ზოგადად ელექტროგანაწილების სექტორის შესახებ

2008 წლის 18 სექტემბერს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №20 დადგენილებით დამტკიცდა „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესები”, რომელმაც დაადგინა ელექტროენერჯის მიმწოდებელი საწარმოების ერთიანი და ერთგვაროვანი საქმიანობის წესები, დაარეგულირა ურთიერთობა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, განსაზღვრა მიმწოდებლებისა და მომხმარებლების უფლებები და ვალდებულებები; დაადგინა მიმწოდებლის პასუხისმგებლობა ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტობაზე. ამავე წესებით ელექტროენერჯის გამანაწილებელი ლიცენზიატები ვალდებული გახდნენ შექმნან და აწარმოონ მომხმარებელთა განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალები.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესების” მოქმედების ეფექტის შეფასება, საჭიროა გრძელვადიანი დაკვირვება (ზემოაღნიშნული წესები ამოქმედდა 2008 წლის 7 ოქტომბერს) და მომხმარებელთა განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალებისა და

ელექტროენერჯის მიწოდების ერთიანი რეესტრების შესწავლა. იმ მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რომლებიც ექცევიან „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესების“ მოქმედების სფეროში ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ მითითებული წესების ამოქმედების შემდეგ შესამჩნევი გახდა, მაგრამ ძველი ურთიერთობებიდან წარმოშობილი პრობლემები ისევ მრავლად გვხვდება პრაქტიკაში.

ხლად დამტკიცებული წესების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს კომპანიის მიზეზით დაუგროვდა დავალიანება და ვერ ხერხდება შეთანხმება მის რეესტრუქტურისა და იგი უნდა გადანაწილდეს ორ წელზე. ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები თვლიან, რომ აღნიშნული წესი არ უნდა გავრცელდეს იმ მომხმარებლებზე, ვისაც დავალიანება წარმოეშვათ წესების ძალაში შესვლამდე და ასეთ მომხმარებლებს უარს უცხადებენ დავალიანების გადანაწილებაზე.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატთა აღნიშნული პოზიცია არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ ამოქმედებამდეც განაწილების ლიცენზიატები ფლობდნენ კანონიერ ბერკეტებს, შეეწყვიტათ ურჩი გადამხდელისათვის ელექტროენერჯის მიწოდება, ხოლო თუ ისინი ურჩ გადამხდელს ელექტროენერჯის მიწოდებას არ უწყვეტდნენ და მომხმარებლებს განაწილების ლიცენზიატების წარმომადგენელთა დაუდევრობით დაუგროვდათ დავალიანება, განაწილების ლიცენზიატი თავის მხრივ ვალდებულია იკისროს გარკვეული ვალდებულება და გადაუნაწილოს მომხმარებელს დავალიანება.

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესები“ განაწილების ლიცენზიატებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ მომხმარებელთა მომსახურება 24 საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზით. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ცხელ ხაზზე მომხმარებლებისაგან შემოსული ინფორმაციის და უშუალოდ სამსახურის გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ კომპანიების ცხელი ხაზი არ მუშაობს გამართულად და მასზე არ პასუხობენ. ზემოაღნიშნულთან ერთად, მომხმარებლები ანგარიშსწორების ქვითრებზე განთავსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ტელეფონის ნომერს აღიქვამენ როგორც კომპანიის ტელეფონის ნომერს და ხშირად მოგვმართავენ ამა თუ იმ უბნისათვის ან მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის მიზეზების დასადგენად.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომისიის მიერ დადგენილი წესების ზედმიწევნით ზუსტად შესრულების აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მხრიდან მომხმარებლებისათვის მუდმივი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა აუცილებელია არამარტო ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების სწრაფად და დროულად მოსაგვარებლად, არამედ, მათი და სხვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

3. ბუნებრივი გაზის სექტორი

ა) შპს „ყაზტრანზგაზ-თბილისი“

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 2009

წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების მიმართ შემოვიდა მომხმარებელთა 46 განცხადება. საკმაოდ ხშირი იყო სამსახურში განხორციელებული სატელეფონო ზარებიც.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მომხმარებელთა განცხადებების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და დარღვევების ფაქტები:

- მომხმარებლისათვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დაკისრება;
- დავალიანების რესტრუქტურისა და უარის თქმა ან ძალიან შეძვირებული ვადის განსაზღვრა (არაუმეტეს 3 თვისა);
- მომხმარებელთა განცხადებების განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევა.

2009 წლის განმავლობაში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლები მომხმარებლებს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტით აიძულებდნენ, გაეწიათ ბუნებრივი გაზის მრიცხველის ლაბორატორიული შემოწმების ხარჯები და როგორც წესი, მათვე აკისრებდა ახალი მრიცხველის შეძენის ხარჯებსაც, ვინაიდან, ახალი მრიცხველის შეძენამდე მომხმარებლებს არ უღდგენდნენ გაზის მიწოდებას.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა შესაბამისი განცხადებით მიმართა კომისიას და მოითხოვა, რომ კომისიას ემსჯელა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ქმედება ჩაეთვალა კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ და ლიცენზირების პირობების არსებით დარღვევად, შესაბამისად, გაეტარებინა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ სათანადო სანქციები. ასევე, დაუსაბუთებლად და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიეჩნია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ მომხმარებლისათვის მრიცხველის სავალდებულო შეძენის მოთხოვნის წაყენება და დაევალებდნენ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დაებრუნებინა ან ბუნებრივი გაზის საფასურში გაეჭვიათ მრიცხველის შეძენის ღირებულება ყველა იმ მომხმარებლისათვის, ვისი მრიცხველიც გამოსული იყო მწყობრიდან მომხმარებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით და ამ მიზეზის გამო მოუწიათ ბუნებრივი გაზის მრიცხველის ღირებულების გადახდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისათვის.“

კომისიამ 2008 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე იმსჯელა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ დასმულ საკითხებზე და მიიჩნია, რომ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“-ს ქმედება მომხმარებლისათვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ვალდებულებების თაობაზე იყო უსაფუძვლო, გააფრთხილა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, რომ ანალოგიური ქმედების განხორციელების შემთხვევაში მის მიმართ გატარებული იქნებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები და დაავალა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“-ს, დაუყოვნებლივ აღედგინა ბუნებრივი გაზის მიწოდება იმ მომხმარებლებისათვის, ვისაც ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზით მრიცხველის მწყობრიდან გამოსვლის და ახალი მრიცხველის საფასურის გადაუხდელობის გამო და უზრუნველყო ამ მომხმარებლისათვის გამართული ბუნებრივი გაზის მრიცხველის მონტაჟი.

მომხმარებლის მიერ მრიცხველის შესაძენად შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისათვის“ გადახდილი თანხებთან დაკავშირებით კომისიამ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო დამატებითი გამოკვლევა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“-ს დაავალა

2009 წლის პირველ თებერვლამდე კომისიას წარმოუდგინოს სრული და დეტალური ინფორმაცია ყველა იმ მომხმარებელთან დაკავშირებით, ვისი მრიცხველიც გამოსული იყო მწყობრიდან მომხმარებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით და ამ მიზეზის გამო მოუწიათ ბუნებრივი გაზის მრიცხველის საფასურის გადახდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისათვის“. თავის მხრივ, კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადად განსაზღვრა 2009 წლის პირველი აპრილი.

2009 წლის განმავლობაში, ბუნებრივი გაზის მრიცხველის მოხსნისას, ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლების მიერ დაზიანებული იქნა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ან სს „თბილგაზის“ მიერ დადებულ ბჯენები და ამის გამო, მომხმარებლის მიმართ ღებობდა დატაცების აქტი.

ასევე ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც მრიცხველი ჩასმული იყო პლასტმასის კორპუსში ან ცელოფანის პაკეტში, მაგრამ იმის გამო, რომ უშუალოდ მრიცხველზე დაზიანებული იყო ერთ-ერთი ქარხნული ბჯენი (რის თაობაზეც აღინიშნება ლაბორატორიულ შემოწმების აქტში) ან მრიცხველის ციფერბლატის ხუფი იყო ოდნავ მოშვებული, ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევის გარეშე შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თვლიდა, რომ ადგილი ჰქონდა ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას და ადგენდა აქტს ამის თაობაზე, რასაც მოყვება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის შედგენა.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელი კომპანიის მიერ მრიცხველზე დადებული ბჯენის, აგრეთვე, მრიცხველი დამცავი კორპუსის ან პაკეტის მთლიანობა დარღვეული არაა, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დარღვეული მრიცხველის ქარხნული ბჯენების მთლიანობა.

პრობლემას წარმოადგენს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შესაბამისი სამსახურის მიერ ბუნებრივი გაზის დატაცების შესახებ აქტების ხშირ შემთხვევაში არასწორად ან არაობიექტურად შედგენა და მათ საფუძველზე დარიცხული ჯარიმის ოდენობა (მაგალითისათვის: მომხმარებელს შეუდგინეს აქტი უკანონო მოხმარების შესახებ, მაშინ, როდესაც არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა, რომ ეს მომხმარებელი როდისმე უკანონოდ მოიხმარდა ბუნებრივ გაზს).

4. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სხვა კომპანიების საქმიანობა

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გარდა, თბილისში და მთლიანად საქართველოში მოქმედებს ბუნებრივი გაზის განაწილების 69 ლიცენზიატი, ხოლო მათ მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისადმი მომართვების ოდენობა არ იყო დიდი, მაგრამ ტელევიზიით და პრესით გავრცელებული ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ გამანაწილებელ კომპანიებშიც ირღვევა მომხმარებელთა უფლებები.

ზოგადად, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სხვა კომპანიების მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევები გამოიხატება შემდეგში:

- ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელებში ზენორმატიული დანაკარგების მომხმარებლებზე დარიცხვა ან საერთო მრიცხველის მეშვეობით აღრიცხული ბუნებრივი გაზის მომხმარებლებზე გადანაწილება;

- მომსახურების უკანონოდ შეწყვეტა;
- მომხმარებლისაგან დამატებითი ხარჯების გაწევის მოთხოვნა მრცხველის მოხსნა-დაყენებაზე და მის ლაბორატორიულ შემოწმებაზე.

ზენორმატიული დანაკარგების მომხმარებლებზე დარიცხვის პრობლემას, ასეთ შემთხვევებს საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, როგორც მოქმედი კანონმდებლობის ერთმნიშვნელოვან დარღვევას. ასეთივე დარღვევას წარმოადგენს საერთო მრიცხველებით აღრიცხული ბუნებრივი გაზის მომხმარებლებზე გადანაწილება.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, გაზის გამანაწილებელი კომპანიებისათვის დადგენილია ბუნებრივი გაზის დანაკარგის მაქსიმალური ოდენობა - არაუმეტეს 5 %, რომელიც ტარიფის დამტკიცების დროს შეიტანება განაწილების დანახარჯებში და გაითვალისწინება სამომხმარებლო ტარიფში. თუ აღვილი აქვს ზენორმატიულ დანაკარგს, ეს არის მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის მოსაკვარებელი პრობლემა, რაც მათ როგორც დაკისრებული აქვთ ლიცენზიის პირობებით.

2009 წლის შემოდგომაზე გახშირდა მომხმარებლების განცხადებები ე.წ. „ტემპერატურული შემასწირებელი კოეფიციენტის“ გამოყენების კანონიერებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, გამზომი მოწყობილობების (ბუნებრივი გაზის მრიცხველების) დიდი ნაწილი, კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით, როგორც წესი გათვლილია ბუნებრივი გაზის ოპტიმალურ სამუშაო ტემპერატურაზე (20° C) და თუ ბუნებრივი გაზის ტემპერატურამ გადალახა ეს ნიშნული, თავისთავად, ცვლილება იწვევს მრიცხველის ცდომილებას, რომელიც კორექტირდება შესაბამისი ფორმულის მიხედვით.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი სამსახური მიიჩნევს, რომ ზოგადად, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებს უპირობოდ აქვთ შესწორების კოეფიციენტის გამოყენების უფლებამოსილება, მაგრამ, მუდმივ სადავო თემად რჩება ბუნებრივი გაზის სამუშაო ტემპერატურის გაზომვის პროცედურების ან გაზომვის წერტილები.

ამასთან, განაწილების ლიცენზიატები ტემპერატურული შესწორების კოეფიციენტს იყენებენ მხოლოდ ზამთრის პერიოდში, როდესაც მოხმარებული გაზის ოდენობის კორექტირება ხორციელდება მრიცხველის ჩვენების გაზრდისაკენ და რატომღაც, ამ კოეფიციენტის გამოყენება ავიწყდებათ ზაფხულის სეზონში, როდესაც მრიცხველის ჩვენება უნდა დაკორექტირდეს მისი ოდენობის კლებისაკენ.

როგორც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შემთხვევაში, ხშირ შემთხვევებში, ე.წ. რეგიონალური გაზგამანაწილებელი კომპანიები ყოველგვარ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებული იყო მრიცხველის მოხსნასთან და დაყენებასთან, მის ლაბორატორიულ შემოწმებასთან და სათანადო წესით დამოწმებასთან, აკისრებენ მომხმარებლებს, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს მომხმარებელთა უფლებების დარღვევად.

სწორედ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2009 წლის 9 ივლისს დამტკიცდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები.“ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“ ძალაში შევიდა სექტემბრის თვიდან და შესაბამისად, აღნიშნული პერიოდთან ბუნებრივი გაზის ლიცენზიატების მიმართ შემოსული განცხადებების რიცხვი მნიშვნელოვნად

შემცირდა.

III. წყალმომარაგების სექტორი

2007 წლის 20 ნოემბერს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა დამატებები. დამატებების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნული კომისიას დაევა სასმელი წყლის მიწოდების საკითხის რეგულირება. შესაბამისად, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა შეითავსა სასმელი წყლის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქცია. ამ ფუნქციის კომისიისათვის გადმოცემამდე მსგავსი სამსახურები არ არსებობდა და მომხმარებლებს წყლის მიწოდებელ საწარმოებთან ურთერთობის გარკვევა უწევდათ მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით.

2008 წლის 26 ნოემბერს კომისიამ მიიღო დადგენილება №32, რითაც დამტკიცდა „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები.“ სასმელი წყლის მიწოდების ახალმა წესებმა ისევე როგორც ელექტროენერგეტიკაში „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებმა,“ გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია მომხმარებლისა და სასმელი წყლის მიწოდებლის ურთიერთობა. წესების მიღებამდე მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი აქტები არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, იგი შედგენილი იყო არასამართლებრივი ტერმინოლოგიითა და მომხმარებელთა უფლებების იგნორირების ხარჯზე მიმწოდებელთა სასარგებლოდ.

ზოგადად, სასმელი წყლის მიმწოდებლებთან მიმართებაში იკვეთება მომხმარებელთა პრეტენზიები ხანდაზმული დავალიანებებისა და უძრავი ქონების ახალი მფლობელისათვის ძველი დავალიანების დაკისრების გამო. აღნიშნულმა დარღვევამ თავი იჩინა ახალი აბონენტების რეგისტრაციის დროსაც. აბონენტად რეგისტრაციის მსურველებს სასმელი წყლის მიმწოდებლები უყენებენ მოთხოვნას, რომ მათ აღიარონ გასულ წლებში საცხოვრებელი ფართის ძველ მესაკუთრეებზე არსებული დავალიანება. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია, რომ ახალ აბონენტად რეგისტრაციისათვის განცხადების წარდგენა წარმოადგენს ახალ სახელშეკრულებო ურთიერთობას მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიას შორის და მას არაფერი აქვს საერთო უძრავი ქონების ძველი მესაკუთრის სახელშეკრულებო ვალდებულებებთან.

რაც შეეხება ძველი მესაკუთრის დავალიანებას, იგი არ შეიძლება მოეთხოვოს ახალ მომხმარებელს და მისი მოთხოვნა არამართლზომიერია, რადგან, მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველია მომხმარებლისათვის წაყენებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, თუ ცნობილია ძველი მესაკუთრის ახალი მისამართი, „სასმელის წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32-ე დადგენილების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მომხმარებლის ახალ მისამართზე გადასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დარიცხული დავალიანება გადაიტანოს ამ მომხმარებლის ახალ მისამართზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყალმომარაგების სექტორის უმთავრეს პრობლემას ამჟამად წარმოადგენს წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა. საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში წყალმომარაგების სისტემა მოძველებულია და

საჭიროებს განახლებას. მომხმარებლების პრეტენზიებიც სწორედ სასმელი წყლის დროგამოშვებით მიწოდებას უკავშირდება და ისინი მოითხოვენ, რომ მოხდეს მათი სასმელი წყლით უწყვეტი და სტაბილური მომარაგება. ბოლო წლებში სახელმწიფოსაგან გამოიძებნა შესაბამისი ფინანსური რესურსები და დაიწყო წყალმომარაგების სისტემის განახლება, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

თავი III. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ურთიერთობა მომხმარებლებთან, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებთან, ნორმატიული ბაზის სრულყოფა

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მისი დაარსების დღიდან ათასობით მომხმარებელმა მიმართა განცხადებითა და საჩივრით საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის. მომხმარებელთა აქტიურობა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას ვლინდება. ამის ნათელი დადასტურებაა დამცველის სამსახურისადმი მომხმარებელთა მასობრივი ხასიათის მიმართვები როგორც დარღვეული უფლების აღსადგენად, ასევე იურიდიული კონსულტაციის მისაღებად საკუთარ უფლება-მოვალეობებში გარკვევისათვის. მომხმარებელთა მიღება ხორციელდება ყოველდღიურად (გარდა სადღესასწაულო, დასვენების დღეებისა) და არ არის შეზღუდული რაიმე ფორმით.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წინადადებით, მარეგულირებელი კომისიის მიერ სპეციალურად სამსახურისათვის სათანადო წესით რეგისტრირებულ იქნა ინტერნეტ-საიტი <http://www.pdci.ge>, რომელიც ამჟერად შემუშავების პროცესშია და უახლოეს მომავალში დაგეგმილია მისი ამოქმედება. 2008 წლის განმავლობაში კომისიის მიერ მიღებული ელექტრონურებისა და წყლის მოხმარების წესების მიხედვით, სავალდებულო გახდა ელექტრონურებისა და წყლის ქვითრებზე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საკონტაქტო მონაცემების აღნიშვნა. შესაბამისად, სამსახურის ადგილმდებარება, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი განთავსებულია კომპანიებთან საანგარიშსწორებო ქვითრების მეორე მხარეს. ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შესაძლებელია განცხადებისა და შეკითხვების გამოგზავნა მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში.

მომხმარებელთა კომენტარების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შესახებ უმრავლესობისათვის ცნობილი გახდა ელექტრონურების ქვითრზე დატანილი მონაცემებიდან. სატელეფონი კავშირის მიხედვით მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ხშირად უწევს მომხმარებლებისათვის კონსულტაციის გაწევა, რათა გაუთვითცნობიერებელმა მომხმარებელმა შეძლოს მისი უფლებების დაცვა.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ქუთაისში გადასვლის შემდგომ, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული განცხადებების რაოდენობა საკმაოდ შემცირდა და არსებითად შეიცვალა განცხადებების გეოგრაფია. გაიზარდა იმერეთსა და მიმდებარე რეგიონებში მცხოვრებ

პირთა მომართვები საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომისიის მიერ 2008 წელს სათანადო ნორმატიული აქტით დამტკიცდა „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“, რომლითაც განისაზღვრა განაწილების ლიცენზიატების და მომხმარებელთა ურთიერთობის ძირითადი საფუძვლები, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ ამ მომენტისათვის აქტუალურია სს „ენერგო-პროჯორჯიას“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საქმიანობის მარეგლამენტირებელ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით დამატებითი ცვლილებების შეტანა, რათა ამაღლდეს ამ საზოგადოებრივი ვალდებულების ხარისხი.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2008 წლის ანგარიშში აღინიშნა, რომ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიმართ მომხმარებლებს აქვთ გარკვეული პრეტენზიები გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური მდგომარეობის თაობაზე (მათ შორის, არასტანდარტული საყრდენებისა და სადენების გამოყენებაზე), რაც გამოწვეული იყო ტექნიკური ხასიათის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტის - ენერგობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესების არარსებობით.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ასეთი წესის დამტკიცება შედის საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს კომპეტენციაში. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ 2008 წლის 18 ნოემბერს მიიღო „ენერჯეტიკაში ენერგობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ახალი აბონენტების მიერთებისათვის ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, გამანაწილებელ ქსელების ექსპლუატაციის და სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური საკითხები.

თავი 10. სასამართლო დავები

2009 წლის განმავლობაში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიმხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმოებაში იყო სულ 40 საქმე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებში სასამართლო სხდომა ჩატარდა 26 საქმეზე, მათ შორის დადებითად გადაწყდა 10 საქმე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 7 საქმე, არ დაკმაყოფილდა 6 საქმე, სამმა მომხმარებელმა სარჩელი სასამართლოდან გამოითხოვა. დანარჩენ საქმეებზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შემოსული განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასამართლო ორგანოები ზოგჯერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას უდგებიან ზერელედ და არ ხდება წარმოდგენილი მასალების სრულყოფილად გამოკვლევა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის და სამართალდამრღვევის არასრულყოფილი იდენტიფიცირება), რის შედეგადაც მომხმარებელს ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მხრიდან ბუნებრივი გაზის ან ელექტროენერჯის დატაცებას ადგილი არ ჰქონია.

სამწუხაროდ, დღეს მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ

სასამართლო დადგენილების გადასინჯვა ხდება ერთჯერადად, მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვეთა კოდექსით დადგენილი წესით და არა სასამართლო გასაჩივრების საპროცესო (სააპელაციო და საკასაციო) წესით, რაც ზღუდავს მხარეს, სრულყოფილად განახორციელოს მისი უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვა.

თავი D. ფორმალური წარმოება

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში თუ გამოვლინდება კონკრეტული ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა უფლების დარღვევა კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი წესების შეუსრულებლობით, ამასთან იგი დადასტურდება დოკუმენტალურად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური პირდაპირ მიმართავს მარეგულირებელ კომისიას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შუამდგომლობით ლიცენზიატისაგან სათანადო ქმედების განხორციელების და მომხმარებლის დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა დამცველმა კომისიას მიმართა ერთი შუამდგომლობით. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ამასთან, განსახილველად მომზადდა სამი საკითხი, რომელიც განიხილება უახლოეს მომავალში.

თავი DII. ადგილზე შემოწმებები

2009 წლის განმავლობაში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ლიცენზიატების წარმომადგენლებთან შეხვედრებში, სადაც განიხილებოდა სხვადასხვა პრობლემატური საკითხები. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწეები გადიოდნენ სხვადასხვა რაიონებში მომხმარებლების საცხოვრებელ მისამართზე, უშუალოდ ხვდებოდნენ მომხმარებლებს და ადგილზე სწავლობდნენ მათ პრობლემებს.